ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 23 ივლისი, 2018 №172 (7717) ფასი: 60 თეთრი

ზაალ კასრელიშვილი: „რუსეთი საქართველოში შემოსაჭრელად ემზადება“

გვ.3

10 ივლისიდან

მაკა სეფაშვილი

დანაშაული ალარ მოხდება

ქართული დეტექტივი ტომი 8

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ლორა სმიტი გაუპატიურებულია, 4 წლის ბავშვს კი მიბჯენით ესროლეს

გვ.7

მალხაზ კობაური

ადვოკატმა გირგვლიანმა მალხაზ კობაურის დაცვაზე უარი თქვა

დავით გირგვლიანი

„რიჟვაძის განცხადებამ აჭარა, შესაძლოა, რელიგიურ დაპირისპირებამდე მიიყვანოს“

გვ.2

გვ.4

რევაზ არველაძე: „მარგველაშვილს არჩევნებს მეც მოვუგებ, რადგან მასზე მაგარი ვარ!“

ნუკრი ქანთარია: „გულუბრყვილობა მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილმა დავით ჭიჭინაძის გარიცხვა არ იცოდა და ეს ამ ხუთმა კაცმა გადაწყვიტა“

გვ.2

სუსმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატის დელეგაციას უმასპინძლა

გვ.5

სამართალი

გვ.7

რატომ დაემუქრა მინდია ლავასოღლი ეკა კვესიტაძეს

დავით მჟავანაძე: „ეკა ნინიძის ძმა ფიზიკური ლიკვიდაციით მემუქრება“

ეკონომიკა

გვ.6

ქართული ღვინის ნაწილი რუსულ ბაზარზე ისევ დაიბლოკა

საწვავის ფასებთან დაკავშირებით ავტომფლობელები აქციას მართავენ

ობგაიძე: „ვინც საკუთარ ავტომობილებს ვართ მიჯაჭვული, გადავსხდეთ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე“



ISSN 1987-9385

5 შავი ზღვის რეგიონში დესტაბილიზაციაა მოსალოდნელი

4 პატრიარქი სამეგობაში შეუძლოდ გახდა

6 საქართველოში 2 ათასი ელექტრომობილია დარეგისტრირებული

8 ლავროვი მარია ბუტინას გათავისუფლებას მოითხოვს

ნუკრი ქანთარია: „გულუბრყვილობა მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილმა დავით ჭიჭინაძის გარიცხვა არ იცოდა და ეს ამ ხუთმა კაცმა გადაწყვიტა“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნუკრი ქანთარია, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართულ ოცნებაში“ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო ნუკრი, საპრეზიდენტო არჩევნებზე მინდა გკითხოთ, რატომ ვერ ასახელებს „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო კანდიდატს და პრეზიდენტი მარგველაშვილიც რატომ ვერ იღებს აქამდე გადაწყვეტილებას, იყაროს თუ არა მეორე ვადით კენჭი?

– გიორგი მარგველაშვილს აქამდე ალბათ იმიტომ არ მიუღია გადაწყვეტილება, რომ ჯერ ჩვენ არ მიგვიღია გადაწყვეტილება. ერთმანეთს ველოდებით. თუმცა, სულ რაღაც ორი კვირა არის დარჩენილი და ამ ვადებში ყველა უნდა ჩაეტიოს. ბუნებრივია, ერთ ან ორ კვირაში ყველაფერი ცნობილი გახდება, რადგან ვადები იწურება. ისე, რაღაც კომიკური სახეც კი მიიღო ამ ყველაფერმა.

– რას გულისხმობთ?

– 10 ოპოზიციური პარტიის გაერთიანებას, გაერთიანებულ ოპოზიციას რომ უწოდებენ თავს. ამ შემთხვევაში ჟანრი აბსოლუტურად კომედიურია. ბევრი დამოუკიდებელი კანდიდატიც იქნება, თუმცა, ისინი კანდიდატად დასარეგისტრირებელ ხმებსაც კი ვერ მოიპოვებენ.

– მართალია, რომ სალომე ზურაბიშვილი იქნება „ქართული ოცნების“ კანდიდატი?

– ვერ გეტყვით, მე არ მაქვს ამის შესახებ ინფორმაცია. ერთი ვიცი, რომ მას ადრე ამის სურვილი ჰქონდა, მაგრამ მაშინ ორმაგმა მოქალაქეობამ შეუშალა ხელი. შინაგანად არ მგონია, რომ სალომე ზურაბიშვილს ეს სურვილი გამქრალი ჰქონდეს.

– იყო ამაზე გუნდში საუბარი?

– უმრავლესობა რომ შეკრებილიყო და ამაზე გვემსჯელა, ასე ნამდვილად არ ყოფილა. არც პოლიტსაბჭოს უმსჯელია.

– აბა, რა დონეზე იყო?

– რაღაც საუბრები შეიძლება ჩატარდა. ვერ გეტყვით, ამას ვერც დაგიდასტურებთ და ვერც უარვყოფ. სულ რამდენიმე დღე დარჩა, ყველაფერი გაირკვევა და ეს მარათონიც დაიწყება. თუმცა, პრეზიდენტის ფიცის დადების შემდეგ მისი ფუნქციები და მოვალეობები იცვლება.

სიმართლე გითხრათ, ცოტა მიჭირს გააზრება, თუ როგორ უნდა წარმართოს კანდიდატმა წინასაარჩევნო კამპანია, რას უნდა დაჰპირდეს ხალხს, რომ ის იქნება პატიოსანი არბიტრი?! ამ დროს მოსახლეობას სულ სხვა რაღაცები აინტერესებს. თუ იცრუებს, ეს მთლად უარესი. არ ვიცი, ძალიან მაინტერესებს, რაზე იქნება აგებული პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია.

– ბატონო ნუკრი, ვიცესპიკერმა ჩუგოშვილმა განაცხადა, რომ დავით ჭიჭინაძის გარიცხვის საკითხი დღის წესრიგში დგას. რას იტყვით?

– ძალიან სამწუხარო ამბავია, როდესაც პარტიიდან ვინმე გაირიცხება. მართალია, ჭიჭინაძე თავის შეფასებებში მაღალი დიპლომატიური

„ასეთ ამბებს დეპუტატი ჟურნალისტებისგან არ უნდა იგებდეს“

სტანდარტებით არასდროს გამოირჩეოდა, მაგრამ, ჩემი აზრით, ის მაინც ამომრჩეველზე მუშაობდა. მე ვიყავი მაჟორიტარი დეპუტატი და ვიცი, რასაც ნიშნავს მაჟორიტარობა, ცოტა სპეციფიკურია. ის ალბათ ცდილობდა იმ ამომრჩევლის შენარჩუნებას, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ ზურგი აქცია. ალბათ ეს იყო მისი აქცენტი. თუმცა, ერთი რამ ცხადია – თუ გუნდის წევრი ხარ, გარკვეული გეზი ერთიანად უნდა გატარდეს.

ადრე მსგავს საკითხებს, გასვლას, გარიცხვას, შემოსვლასა და ა.შ. პარტიის პოლიტსაბჭო წყვეტდა.

– და არა სამდივნო, როგორც ამ შემთხვევაში?

– სამდივნო სულ სამი კაცი იყო. დებულებაში ალბათ ჩანაწერი არის და ალბათ მათ აქვთ ამის უფლება, არ ვიცი. ბიძინა ივანიშვილი იმისთვის არ დაბრუნებულა, რომ არ იცოდეს, პარტიაში ვინ შემოვა და ვინ გაირიცხება. დიდი გულუბრყვილობა მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილმა ეს არ იცის და ეს ამ ხუთმა კაცმა გადაწყვიტა.

ისე, დავით ჭიჭინაძემ თქვა, რომ თურმე 2012 წელს ჩემ გვერდით იდგა, როდესაც მაჟორიტარულ ოლქში კენჭს ვიყრიდი, რაც ნამდვილად არ მახსოვს. ჩემი შტაბის უფროსთანაც გადავამოწმე და მასაც არ ახსოვს. შეიძლება, შორიდან მიჭერდა მხარს.

– ისე, გარიცხვაზე რას იტყვით, რამდენად მისაღებია თქვენთვის?

– ასეთი საკითხები, უმჯობესია, პოლიტსაბჭოზე იყოს გადაწყვეტილი. მე ვფიქრობ, რომ ეს უფრო უკეთესი ფორმაა, ვიდრე ის, რომ ჟურნალისტებისგან გაიგო, რომ პარტიიდან გაგრიცხეს. ჩვენ ადამიანები ვართ და, ბუნებრივია, რომ ეს არის ცოცხალი პროცესი, რაღაცები მოგვწონს, რაღაც – არა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ რადგან ბიძინა ივანიშვილი თავის პარტიაში დაბრუნდა, სწორედ იმის გამო დაბრუნდა, რომ მან მართოს სიტუაცია. გარკვეული ეტაპზე მან აირჩია ხალხი, მიუხედავად იმისა, მე სასტარტო შემადგენლობაში ვარ თუ არ ვარ, ჩემი პოზიციები ყოველთვის ადეკვატური იყო და, ვფიქრობ, ასეც გაგრძელდება.

– თქვენ რა პოზიცია გაქვთ დიმიტრი ქუმსიშვილისა და ზურაბ ალავიძის პროკურატურაში დაბარებასთან დაკავშირებით? პროკურატურამ უკვე დაადასტურა, რომ მისი დაბარების მიზეზი ფინანსები იყო, პროკურატურამ თქვა, რომ ძიება სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობს.

– ვინც უნდა იყოს, თუ გვინდა, სამართლებრივ სახელმწიფოში ვიცხოვროთ და ხელისუფლებასაც ეს იმიჯი ჰქონდეს, ბუნებრივია, ნებისმიერი ფაქტი უნდა იყოს გამოძიებული, თუ ასეთი ეჭვი არსებობს. რა თქმა უნდა, ძალიან მეწყინება, თუ ეს სიმართლე აღმოჩნდება. ნამდვილად არ გამიხარდება. თუმცა, უმჯობესია, საზოგადოებამ სიმართლე იცოდეს, თუ ეს ყველაფერი რეალობაა, ვიდრე ის, რომ თვალი დავხუჭოთ.

პარტიის თავმჯდომარის პოზიციაც არის, რომ ამ მიმართულებით თუნდაც ერთმანეთის მიმართ თუკი ვიღაცას ხელი წაუცდა, დაუნდობლები უნდა ვიყოთ. მე ვფიქრობ, რომ გამოძიება აბსოლუტურად სამართლიანად წარიმართება და საზოგადოება რეალობას გაიგებს.

– პოლიტიკურ ინტერესებს გამორიცხავთ?

– არ მინდა, ამგვარ რამეს ადგილი ჰქონდეს. ვფიქრობ, ეს არის ეჭვები და ეს ეჭვები გამოძიებამ უნდა დაადგინოს, აქვს თუ არა მას რამე საერთო რეალობასთან და ხალხს სიმართლე უთხრას.

„რიჟვაძის განცხადებამ აჭარა, შესაძლოა, რელიგიურ დაპირისპირებამდე მიიყვანოს“

სანდრო ბრეგაძე: „ივანიშვილმა უნდა გვიპასუხოს, რატომ მიდის ეკლესიაზე შეტევა“

შორენა მარსაგიშვილი

აჭარის მთავრობის ახალი მეთაური, ახალგაზრდა თორნიკე რიჟვაძე, სკანდალში გაეხვია. მან თავის პირველ ამოცანად რეგიონში ახალი მეჩეთის აშენება დააანონსა. რიჟვაძის განცხადებით, ახალი მეჩეთი ქართული ფულით უნდა აშენდეს.

„ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე მიიჩნევს, რომ რიჟვაძე თურქეთში მოქმედი ექსტრემისტული ძალების ინტერესებს ატარებს და აჭარის რეგიონს საფრთხეს უქმნის.

ვის სჭირდება ბათუმში ახალი მეჩეთი, რაზე უნდა აგოს პასუხი ივანიშვილმა, რატომ არ დგამენ აჭარაში დავით აღმაშენებლის ძეგლს? – ამ თემებზე სანდრო ბრეგაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

სანდრო ბრეგაძე:

– ხელისუფლების მოღალატეობრივ საქმიანობას უკვე საზღვარი არა აქვს. ახალგაზრდა კაცმა, რომელიც აჭარის მთავრობის მეთაურად დასვეს და რომელსაც არანაირი წარსული არა აქვს, გამოაცხადა რომ მისი პირველი ამოცანა აჭარაში ახალი მეჩეთის აშენებაა.

თორნიკე რიჟვაძის განცხადებით, აუცილებელი ყოფილა, რომ მეჩეთი ქართული ფულით აშენდეს. ერთ წელზე მეტია, რაც ბათუმში დავით აღმაშენებლის ძეგლის აღმართვას ვითხოვთ, მაგრამ გვეუბნებიან, რომ ფული არ არის. რიჟვაძე ამბობს, რომ მეჩეთის ასაშენებლად ფული აქვთ. გამოდის, აღმაშენებლის ძეგლის აღმართვას ხელს ვიღაც უშლის.

– ვინ უშლის?

– თურქეთში არსებული ექსტრემისტული ძალები. ისინი დავით აღმაშენებელს მტრად განიხილავენ და მას ებრძვიან. თურქებს დიდ მეფესთან თავიანთი ანგარიშები აქვთ, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება რატომ ითვალისწინებს მათ მოთხოვნას, არ მესმის.

გასულ წელს ექსტრემისტ თურქებს გიორგი კვირიკაშვილმა გაუგორა კოჭი და დიდგორობა სახელმწიფო დღესასწაულად აღარ გამოაცხადა. ახლა რიჟვაძე გამოვიდა და ახალი მეჩეთი უნდა ავაშენოო. აჭარაში ახალი მეჩეთი საჭირო რომ ყოფილიყო, ხმას არ ამოვიღებდი. აქ ღალატისა და პროვოკაციის სუნი ტრიალებს და ნამდვილად ვერ გავჩუმდები.

დამაბრალებენ ახლა რაღაცას, იტყვიან, განსხვავებული რელიგიის წარმომადგენლებს ებრძვისო. ეს აბსურდია. მე ძალიან ბევრი მუსლიმი და ებრაელი მეგობარი მყავს.

– რატომ მიგაჩნიათ ახალ მეჩეთზე საუბარი პროვოკაციად?

– იმიტომ, რომ ამის გამო აჭარაში რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება მოხდება. მეჩეთის თემაზე იქ არაერთი დაპირისპირება მოხდა. ამ თემას თურქი სეპარატისტები ატრიალებენ. აჭარაში ახალი მეჩეთი საჭირო არ არის.

– რატომ გგონიათ, რომ საჭირო არ არის?

– აჭარაში ძალიან ბევრი მეჩეთი და მუსლიმური სამლოცველოა, გაცილებით მეტი, ვიდრე ეკლესია-მონასტრები. მეჩეთები სრულად არ არის დატვირთული. ბუნებრივია, იბადება კითხვა: რატომ დაიწყო ახალ მეჩეთზე საუბარი? ამ კითხვაზე მაქვს პასუხი – რიჟვაძე თურქი ექსტრემისტების დავალებას ასრულებს და პროვოკაციაზე მიდის.

რიჟვაძემ ამით ჩვენი მუსლიმი ძმები დარტყმის ქვეშ დააყენა. საზოგადოება ამაზე გაღიზიანდება და შეიძლება დაპირისპირებაც მოხდეს. მაინტერესებს, მთავრობის მეთაურმა მეჩეთით რატომ დაიწყო საუბარი. იქნებ აჭარაში სინაგოგა და კათოლიკური ეკლესია უფრო საჭიროა. ამ ადამიანებსაც ხომ უნდათ ლოცვა.

ყველაზე საინტერესო ამ ამბავში ის არის, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლისთვის არა აქვთ ფული.

– ვინ გითხრათ, რომ ფული არ არის?

– ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარემ და მისნაირებმა. ამ ხალხს „აღორძინებიდან“ ვიცნობ და ვიცი, რა „ფრუქტებიც“ არიან. მათ „აღორძინებაში“ „გამარჯობასაც“ არ ეუბნებოდნენ. ახლა ეს ხალხი იმდენს ბედავს, რომ აღმაშენებლის ძეგლის დადგმაზე ამბობენ უარს.

– იქნებ მართლა არ არის ფული?

– მეჩეთის აშენებას ბევრად მეტი ფული სჭირდება. მეჩეთისთვის არის ფული და აღმაშენებლის ძეგლისთვის – არა? ეს არის ღალატი და ამაზე ივანიშვილსაც უნდა მოვთხოვოთ პასუხი.

– ივანიშვილს რატომ?

– მისი ნებართვის გარეშე ვიღაც რიჟვაძე ამდენს ვერ გაბედავდა. თავის დროზე ივანიშვილის მხარდამჭერი ვიყავი. ახლაც არ ვარ მისი მტერი, მაგრამ რაღაცაზე პასუხი უნდა გაგვცეს. მან უნდა გვითხრას, რატომ ხდება ისე, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაზე არნახული შეტევა მიმდინარეობს. ციანიდის სკანდალი მის დროს მოხდა და ამან საშინლად იმოქმედა ეკლესიაზე.

მაშინ, როცა ეკლესიის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლაა, ახალი მეჩეთის აშენებაზე იწყება საუბარი, თან იმ რეგიონში, რომელიც თურქი ექსტრემისტების სათარეშოდ გადაიქცა. ეს ძალიან ცუდად დამთავრდება. რიჟვაძის უპასუხისმგებლო განცხადებამ აჭარა, შესაძლოა, რელიგიურ დაპირისპირებამდე მიიყვანოს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„რუსეთი საქართველოში შემოსაჭრელად ემზადება“

ზაალ კასრელიშვილი: „პოლიტიკურად ძალიან ცხელი შემოდგომა გველოდება“

შორენა მარსაგიშვილი

„მოსკოვმა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარდა, დვალეთიც უნდა დააბრუნოს“

რას ნიშნავს მარია ზახაროვას განცხადებები საქართველოს არაკეთილშობილურ საქციელზე, რა მოხდება საპრეზიდენტო არჩევნებზე, რა გეგმა აქვს რუსეთს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

– თქვენ მოუთმენლად ელოდით ტრამპი-პუტინის შეხვედრას და იმედი გქონდათ, რომ რუსეთს ფრთები შეეკვეცებოდა. არადა, როგორც ამბობენ, პუტინმა იქით მიაჩმორა აშშ-ის პრეზიდენტი.

– ვინ ვინ მიაჩმორა, მომავალში გამოჩნდება. რაც შეეხება შეხვედრას, ჩვენ მოუთმენლად თავად შეხვედრას ველოდით. ნამდვილად არ გვქონია იმის მოლოდინი, რომ ჰელსინკიში რაიმე გადაწყდებოდა.

– აბა, რატომ ელოდით ამ შეხვედრას მოუთმენლად?

– შეხვედრას მოუთმენლად იმიტომ ველოდით, რომ რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის ეს იყო სერიოზული ტესტი. მსოფლიო პოლიტიკის არქიტექტორების ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ საქართველო და უკრაინა მოსკოვის ხელში, დასავლეთთან ვაჭრობის საგანი იყო. მეორე ნაწილი მიიჩნევდა, რომ სანქციებით მოიყვანდა ჭკუაზე კრემლს და 21-ე საუკუნეში ხელს ააღებინებდნენ დაპყრობის პოლიტიკაზე.

ამ წინააღმდეგობის გამო დასავლეთში კრემლის მესვეურთა მიმართ აზრი ორად იყოფოდა. ამდენად, აუცილებელი იყო პუტინისა და ტრამპის ერთი ერთზე საუბარი. ამ შეხვედრაზე რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაიტესტა.

– პუტინისა და რუსეთის ტესტირება დასავლეთს რაში სჭირდება? კრემლის ბელადმა ჰელსინკიშიც იგივე თქვა, რასაც სხვა დროს ამბობდა – საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანებას არ დავუშვებთო.

– ახლა დასავლეთი დარწმუნდა, რომ უკრაინა და საქართველო აღარ არის პოლიტიკური ვაჭრობის საგანი. ყველამ გააცნობიერა ისიც, რომ პუტინი საბჭოთა კავშირის აღდგენის მანიით არის შეპყრობილი.

ჰელსინკის შეხვედრამდე დასავლეთმა მოსკოვს პირდაპირი რევერანსი გაუკეთა. ნატოს სამიტზე აშშ-ის პრეზიდენტმა პირდაპირ თქვა, რომ საქართველო და უკრაინა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჯერ ვერ გაწევრიანდებიან.

– თქვენ ძალიან გიყვართ ამერიკა და რით ხსნით მათი პრეზიდენტის ამ განცხადებას? აქამდე ამერიკა ყოველთვის ითხოვდა საქართველოს ალიანსში განწვრიანებას. წინააღმდეგი გერმანია და საფრანგეთი იყვნენ.

– აშშ-ის პრეზიდენტმა ეს განცხადება გააკეთა იმიტომ, რომ დასავლეთის სახით რევერანსი გაუკეთა კრემლს. ეს განცხადება არ ნიშნავს, რომ ამერიკა საქართველოს მხარდაჭერაზე უარს ამბობს.

– რა ერევერანსება დასავლეთს, მის მიერ დაწესებული სანქციების ფონზე, ამის გაკეთება სასაცილო არ არის?

– რევერანსი გაუკეთეს იმიტომ, რომ რუსეთს მისცეს შანსი, გადასულიყო ცივილიზებულ რელსებზე.

– არ უნდა ამ რუსეთს ცივილიზებულ რელსებზე გადასვლა და რატომ ელოდებიან სასწაულს მათგან?

– მსოფლიო პოლიტიკის არქიტექტორებში არიან ადამიანები, რომლებსაც სჯერათ, რომ რუსეთი გადავა ცივილიზებულ რელსებზე. ჰელსინკის შეხვედრა კრემლისთვის უნიკალური შანსი იყო. მას შეეძლო, დასავლურ, დემოკრატიულ დინებაში შესულიყო. პუტინმა ეს შანსი არ გამოიყენა და მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ მათ სხვა მიზნები აქვთ.

– რას იზამს ახლა დასავლეთი, რომელიც, როგორც თქვენ ამბობთ, საბოლოოდ დარწმუნდა რუსეთის ზრახვებში?

– რუსეთს კიდევ მისცემს დასავლეთი ორ შანსს. ამჯერად პუტინს მხოლოდ ტრამპთან არ მოუწევს საუბარი. შეხვედრას ბევრი ხალხი დაესწრება და რუსეთს გააგებინებენ, რა ელოდება, თუ ცივილიზებულ გზაზე სიარულს არ დათანხმდება.

– თქვენ თქვით, რომ პუტინი საბჭოთა კავშირის აღდგენის მანიით არის შეპყრობილი. საქართველოს ხელისუფლებას აქვს იმის უნარი, რომ ქვეყანას საბჭოთა სივრცეში დაბრუნება აარიდოს თავიდან? მზად არის ხელისუფლება რუსული სიურპრიზებისთვის?

– საქართველოს ხელისუფლება კი არა, როგორც აღმოჩნდა, ევროპისა და ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლებიც გამოუცდელები არიან რუსეთის აგრესიული ტონის მიმართ.

კრემლში კარგად იციან, რომ ამ კატეგორიული პოზიციის გამო სერიოზული პრობლემები შეექმნებათ. ამ დროს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, ვინმე მარია ზახაროვა გამოდის და პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებს. ამ განცხადებებიდან კარგად ჩანს, რომ ამ ქალს წარმოდგენა არა აქვს, რა არის პოლიტიკა და ისტორია.

მისი გამოსვლიდან მხოლოდ ერთი სიტყვა დავიმახსოვრეთ – არაკეთილშობილური. 1801 წლიდან დღემდე თუ დავთვლით ჩვენს დანაკარგს, გამოდის, რომ ყოველი მეშვიდე ქართველი რუსების მიერ ან დახვრეტილია, ან გადასახლებული. ზახაროვას ქალის აზრით, ეს ყოფილა კეთილშობილური საქციელი, ხოლო საქართველო დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის რომ იბრძვის, ეს არის არაკეთილშობილება.

– ზახაროვას ქალის „კეთილშობილურ“ განცხადებას ჩვენი ხელისუფლება სათანადო „კეთილშობილებით“ არ გამოხმაურებია. თქვენ რით ხსნით მდუმარე კეთილშობილებას?

– ეს ქალი ნამდვილად იმსახურებს დატუქსვას. მას პირდაპირ უნდა ვუთხრათ, რომ ის უწიგნურია. მან მთელ ჩვენს ქვეყანას მიაყენა შეურაცხყოფა. რატომ არ იყო ამაზე რეაქცია, ვერ გეტყვით. ჩვენ გვქონდა რეაქცია, სხვების გამო პასუხს ნამდვილად ვერ ვაგებთ.

ჩვენ შეგვიძლია, უწიგნური ქალის გზავნილი გავშიფროთ. „არაკეთილშობილური საქციელი“ – ეს იქნება მოტივი, რომელსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენებს.

– როგორ უნდა გამოიყენონ ეს საქართველოს წინააღმდეგ?

– ძალიან მარტივად. კრემლი იტყვის, რომ საქართველოს არაკეთილშობილური საქციელი რუსეთის სახელმწიფოებრიობას უქმნის საფრთხეს. ეს განცხადებები და შესაბამისი ფონი მათ შიდა ბაზრისთვის სჭირდებათ. შექმნიან ფონს და მერე საქართველოშიც არევენ სიტუაციას.

– სიტუაციის არევაში რას გულისხმობთ?

– პირდაპირ შემოიჭრებიან საქართველოში.

– შემოჭრისთვის მიზეზი ხომ უნდა ჰქონდეთ?

– რუსეთს საქართველოში შემოსაჭრელად მიზეზი არ სჭირდება. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, კრემლი ჯერ სიტუაციას აურევს და მერე შემოიჭრება.

– საქართველოს ხელისუფლება არის მზად ან არეულობის აღსაკვეთად, ან შემოჭრის მოსაგერიებლად?

– ჩვენ რომ ვიყოთ ხელისუფლებაში, რუსეთის წინააღმდეგ მთელ რიგ მექანიზმებს გამოვიყენებდით. ამის გაკეთება ხელისუფლებასაც შეუძლია.

– რის გაკეთება შეიძლება?

– ეს გაზეთში სალაპარაკო თემა არ არის. რჩევას თუ გვკითხავენ. ამაზე არავის დავზარდებით.

პუტინს იმდენი კი უნდა ესმოდეს, რომ თუ საქართველოსთან ცუდი ურთიერთობა ექნება, ევრაზიულ დერეფანზე გავლენებს დაკარგავს. ასეთ შემთხვევაში თავისი რაკეტებითა და შეიარაღებით ვეღარაფერს გახდება. ნებისმიერ ომში თუ ეკონომიკურ საკითხებში ევრაზიული დერეფანი ანუ კავკასია არის გადამწყვეტი.

– ასეთი მნიშვნელოვანია ვითომ კავკასია?

– სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეს ჩემი ახირება არ არის, კავკასიის მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ ძველი ტიბეტელები საუბრობდნენ.

– რას ამბობდნენ ძველ ტიბეტში?

– ძველი ტიბეტური ხელნაწერები ამბობენ, რომ კავკასია არის მსოფლიოს ჭიპი. ზოგიერთები მას სამყაროს ხერხემალს უწოდებენ.

მოდით, დავუშვათ, რომ კრემლმა ეს ყველაფერი გააცნობიერა და მართლაც სურს საქართველოსთან ურთიერთობების სუფთა ფურცლიდან დაწყება. მოსკოვს თუ თბილისთან ურთიერთობების დალაგება უნდა, რამდენიმე ნაბიჯი უნდა გადადგას. ქართველების გულის მოგება მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

პირველ რიგში, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან უნდა გაიყვანოს ჯარი. მეორე პირობაა, ამ რეგიონებში ქართველი დევნილები დააბრუნოს. მესამე ნაბიჯი ასეთია – საქართველოს კონკრეტული ხედვა უნდა წარმოუდგინოს ყარსის ხელშეკრულების 100 წლისთავზე.

ჩვენი მხრიდან კიდევ ერთ ნაბიჯის გადადგმას ვურჩევთ რუსეთს – კეთილი ინებონ და დააბრუნონ დვალეთი, რომელიც საქართველოს 1921 წელს წაჰგლეჯეს.

– დვალეთთან დაკავშირებით სხვადასხვა ინფორმაცია არსებობს. ისიც კი არ ვიცით, რა ტერიტორიას მოიცავდა დვალეთი.

– როგორ არ ვიცით. საქართველოს რუკას თუ დავხედავთ, ვნახავთ, რომ ჩრდილოეთის მხარეს ამოგლეჯილივით არის. აი, ეგ არის დვალეთი. ეს ქართული მიწა ზედ ცხინვალის თავზეა.

ჩვენი დვალეთი დღეს ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზეა მოქცეული. ახლა იქ რუსებს სუარგომის წყალსაცავი აქვთ გაკეთებული. მანდ არის ძაბრის ყელი. დვალეთი რომ წაიღეს 1921 წელს, იმის მერე დააწესეს ცხინვალზე კონტროლი.

ტერიტორია პატარაა, მაგრამ ის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილია. ძალიან ბევრი ისტორიული ძეგლია იქ. ამ ტერიტორიაზე უძველესი იბერიული ტომი – ტუბალები ცხოვრობდნენ. მათ ხალიბებზე ადრე მისცეს კაცობრიობას რკინა.

დვალების ჩამომავლების ნაწილი რაჭასა და ხევში ცხოვრობს, ნაწილი – ჩეჩნეთსა და ინგუშეთში. და მთავარი, მინდა, თქვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ დვალების ნაწილი ცხინვალში ჩასახლდა. ზოგიერთს თავი ოსი რომ ჰგონია, სინამდვილეში ტუბალი ანუ დვალია.

– ეს ცვლის რამეს?

– როგორ არ ცვლის. მტკიცდება, რომ ცხინვალი არასდროს ყოფილა ოსური ქალაქი.

– ეს ტუბალები თავს ოსებად თვლიან და რანაირად გინდათ ათქმევინოთ, ოსები არა ვართო.

– გვარის გადაკეთება გაოსებას არ ნიშნავს. გენეტიკურად ეგენი ტუბალები არიან და თავი რად მიაჩნიათ, არ ვიცი. ცხინვალის რეგიონში 17 გვარია, რომელიც გენეტიკურად ტუბალია ანუ წმინდა სისხლის ქართველი.

თუ მართლა უნდა რუსეთს საქართველოს კეთილგანწყობის მოპოვება, მაშინ აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან ერთად დვალეთიც დააბრუნოს.

– აფხაზეთი და სამაჩაბლო შეიძლება კიდევ დააბრუნოს რუსეთმა, მაგრამ დვალეთის ამბავი ალბათ არ მოგვარდება.

– დვალეთის დაბრუნება აუცილებელია. რუსეთმა პირდაპირ უნდა გვითხრას, გვიბრუნებენ თუ არა წართმეულ ტერიტორიებს. თუ გვეტყვის კრემლი, რომ წართმეულის დაბრუნებას არ აპირებენ, მაშინ პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთი საქართველოში არეულობისთვის ემზადება.

– უკვე მეორედ ამბობთ, რომ რუსეთი საქართველოში არეულობისთვის ემზადება. რამე დამატებითი ინფორმაცია გაქვთ თუ მარია ზახაროვას განცხადებებით აკეთებთ პროგნოზებს?

– ცხადია, რომ დამატებით ინფორმაციებს ვფლობთ. ზახაროვასნაირი გაუნათლებელი ქალის ნათქვამზე პროგნოზის გაკეთება არ არის ჩვენი საქმე, მაგრამ ერთიც უნდა იცოდეთ, ის კრემლის პოზიციას აჟღერებს. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთმა საქართველოში არეულობის მოწყობა დააანონსა.

არ დაგვავიწყდეს, რომ შემოდგომაზე საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. არჩევნების წინა და შემდეგი პერიოდი არეულობის მოსაწყობად საუკეთესო დროა. დაიწყება არეულობა, რაც რუსეთის შემოჭრით დასრულდება.

– თქვენ გასულ წელსაც თქვით, რომ რუსეთი საქართველოში შემოჭრას აპირებდა და ეს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის წყალობით ჩაიშალა.

– იმავეს გავიმეორებ ახლაც – აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი, მაიკლ პენსი, საქართველოში ამიტომ ჩამოვიდა დაუგეგმავად. შარშან კრემლს გეგმები ჩაეშალა.

– წელს ვინ ჩაუშლის რუსეთს გეგმებს?

– მოსკოვისთვის გეგმების ჩაშლა ჩვენც შეგვიძლია. მსოფლიო საქართველოს ასე აღარ მიატოვებს. რუსეთი ძალიან მკაცრად დაისჯება.

– აქამდე რით ვერ დაისაჯა?

– დაისჯება. უსამართლობა ყოველთვის ისჯება. მთავარია, ჩვენ ვიყოთ მზად. მინდა, თქვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ პოლიტიკურად ძალიან ცხელი შემოდგომა გველოდება, მაგრამ ამასაც როგორმე გადავიტანთ.

ირაკლი კობახიძე: „თანამდებობა, რომელიც გიორგი მღებრიშვილს ეკავა, პოლიტიკური არ არის“

– თანამდებობა, რომელიც გიორგი მღებრიშვილს ეკავა, არ არის პოლიტიკური, – განუცხადა ჟურნალისტებს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ გიორგი მღებრიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

მისი თქმით, პრემიერ-მინისტრის გადასაწყვეტია, როგორი საკადრო პოლიტიკა განხორციელდება.

– თანამდებობა, რომელიც გიორგი მღებრიშვილს ეკავა, არ არის პოლიტიკური თანამდებობა. აქედან გამომდინარე, მთლიანად პრემიერ-მინისტრის გადასაწყვეტია როგორი საკადრო პოლიტიკა განხორციელდება. აქ პარლამენტის ჩარევის რესურსი, ბუნებრივია, მინიმალურია. ჩვენი გადასაწყვეტი არ არის, რა სახის საკადრო ცვლილებები განხორციელდება ამ დონეზე. ეს არ არის პოლიტიკური დონე. შესაბამისად, აქ ჩვენი მხრიდან კომენტარები შესაძლოა ზედმეტიც კი იყოს, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსი გიორგი მღებრიშვილი თანამდებობიდან 20 ივლისს გაათავისუფლა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მღებრიშვილმა განცხადებით გადადგომის შესახებ პრემიერს თავად მიმართა.

ინტერპრესნიუსი

რევაზ არველაძე: „მარგველაშვილს არჩევნებს მეც მოვუგებ, რადგან მასზე მაგარი ვარ!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უმრავლესობის დეპუტატი რევაზ არველაძე პასუხობს.

– ბატონო რევაზ, გიორგი მარგველაშვილის განცხადებები კიდევ ერთხელ გახდა დაპირისპირების საგანი პრეზიდენტსა და უმრავლესობას შორის. „ქართულ ოცნებაში“ არ დარჩენილა არავინ, რომ მარგველაშვილი არ გაეკრიტიკებინა. თავში აუვარდაო, დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე, უზრდელიაო. განა რა თქვა ასეთი საქართველოს პრეზიდენტმა?

– პრეზიდენტი მაქსიმალურად ცდილობს, რომ ჯიბრში ჩაუდგეს „ქართულ ოცნებას“ და იმაზე მაღლა დააყენოს თავის თავი. არ არის სწორი მისი ასეთი დამოკიდებულებები. არავინ არაფერს ელოდება. რატომ უნდა დაველოდოთ? მარგველაშვილი დააყენებს თუ არ დააყენებს თავის კანდიდატურას, ამას რა მნიშვნელობა აქვს „ქართული ოცნებისთვის“?! „ქართული ოცნება“ მაინც დააყენებს იმისთანა ღირსეულ კანდიდატს, რომელთანაც, რა თქმა უნდა, მარგველაშვილი გვერდზე ვერ მოვა.

– ანუ უკვე იცით, ვინ იქნება „ოცნების“ კანდიდატი?

– რამდენიმე კანდიდატი განიხილება. მე არ ვარ პოლიტსაბჭოს წევრი და მსგავსი საკითხების განხილვაში არ ვიღებ მონაწილეობას. თუმცა გეტყვით, რომ კანდიდატი იქნება ძალიან ღირსეული!

– რის თქმა სურდა ამით მარგველაშვილს?

– ვითომ ყველაზე მაგარი ვარო.

– როგორ ფიქრობთ, გეგმავს, მეორე ვადით იყაროს კენჭი საპრეზიდენტო არჩევნებში?

– არ ვიცი, შეიძლება დააპიროს, შეიძლება არ დააპიროს. თუმცა იმაში დარწმუნებული ვარ, მე რომ დავაყენო ჩემი კანდიდატურა, ნამდვილად მოვუგებ მარგველაშვილს.

– იმის თქმა გინდათ, რომ თქვენც მოუგებთ?

– მეც მოვუგებ რა, გგონიათ, რომ მე ნაკლები ვარ ვინმეზე თუ რა ხდება?! მე იმას კი არ ვგულისხმობ, ის იმდენად სუსტია, რომ მე მოვუგებ, არა, ბატონო, მე ვარ მასზე გაცილებით ძლიერი!

– ღირსეული კანდიდატები განიხილება „ოცნებაშიო“ და კერძოდ ვისზეა საუბარი ან მათ შორის თუა ბიძინა ივანიშვილი?

– ცდილობთ, რამე მათქმევინოთ. მე შეიძლება ვიცი, მაგრამ დღეს ამაზე არ დავიწყებ ლაპარაკს.

– რატომ? თუ იცით, გაგვიმხილეთ.

– არა, ადრეა ჯერ მაგაზე ლაპარაკი. იმ ვადებში, რომელიც მოცემულია პრეზიდენტის კანდიდატის წარდგენისთვის, „ქართული ოცნება“ წარადგენს ღირსეულ კანდიდატს!

– ოპოზიცია კი გსაყვედურობთ, რომ არც ერთ მთავრობას არ უქნია

მსგავსი რამ, საზოგადოებას მასხრად იგდებს ხელისუფლება, როცა ბოლო წუთამდე არ ასახელებს საკუთარ კანდიდატსო. რა ჩაიფიქრა „ქართულმა ოცნებამ“, რატომ მიჰყავს სიტუაცია ბოლო მომენტამდე?

– რატომ ბოლო მომენტამდე? როგორც არის დადგენილი ვადები, როგორც არის განსაზღვრული კონსტიტუციით, იმ ვადებში წარადგენს. რა შუაშია აქ ან ადრე, ან გვიან. დადგენილ ვადებს არ დავარღვევთ.

– გაკეთდა მინიშნებები, რომ ახალი პრეზიდენტი ავლაბრის რეზიდენციაში ვეღარ შევა. ეს უკვე გადაწყვეტილია?

– რა თქმა უნდა, ეს იქნება თავად პრეზიდენტის გადასაწყვეტი, ისე, როგორც ეს მარგველაშვილმა გადაწყვიტა. მე მიმაჩნია, რომ ამხელა სასახლე არ უნდა ჰქონდეს საქართველოს პრეზიდენტს. ეს სასახლე, თუ მეტი არა, ნაკლები ნამდვილად არ არის თეთრ სახლზე, სადაც 300-მილიონიანი ერის პრეზიდენტის რეზიდენციაა, მით უმეტეს, რომ, ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტის მოვალეობები უფრო შეზღუდულია, ვიდრე ადრე იყო. ამიტომ ათონელის ქუჩაზე არსებული შენობა მშვენიერი სასახლეა, სავსებით საკმარისია იმ საქმიანობების განსახორციელებლად, რომლებიც პრეზიდენტმა უნდა აკეთოს. გინდა დელეგაციების მისაღებად, გინდაც სხვა შეხვედრებისთვის, ყველანაირად მოწყობილია.

– რა ბედი ეწევა ძველ სასახლეს?

– თუ ახალი პრეზიდენტი ათონელის სასახლეში გადავა, მე არ ვიცი, რა ბედი ეწევა ავლაბრის სასახლეს, ამაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ცხადია, ამხელა სასახლე არ სჭირდება საქართველოს პრეზიდენტს.

– მარგველაშვილს ზედმეტად დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზეო, განაცხადა თბილისის მერმა. ასე რატომ აგაფორიაქათ მისმა განცხადებებმა? იქნება აქვს მას გამარჯვების შანსი? ამბობენ, რომ მის ირგვლივ ახალი კოალიცია იკრიბება. ხომ არ ეშინია მისი „ოცნებას“?

– „ოცნებას“ ეყოლება ბევრად ღირსეული კანდიდატი. მას რისი იმედი აქვს, ნამდვილად არ ვიცი. სამწუხაროდ, ადამიანის თვისებაა ეს, რომ თავის თავზე ბევრად მეტი წარმოდგენა აქვთ ხოლმე, ვიდრე სინამდვილეში არიან. ალბათ ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის.

– ბატონო რევაზ, „ოცნების“ შიგნით მიმდინარე პროცესები საზოგადოებაში სერიოზული განხილვის საგნად იქცა. უმრავლესობიდან გაირიცხა დავით ჭიჭინაძე. რა ხდება დღეს „ქართულ ოცნებაში“? სერიოზულ შიდა დაპირისპირებებზეა საუბარი. ასეა?

– არა, არანაირი შიდა დაპირისპირება არ არის. მე ჭიჭინაძესთან დაკავშირებით რამდენჯერმე დამისვეს შეკითხვა და შეგნებულად არ გავაკეთე არანაირი კომენტარი.

– რატომ?

– გამომდინარე იქიდან, რომ ჭიჭინაძეს არ დავლაპარაკებივარ. ის არ ჩამოსულა ქუთაისში. მე კი აქ ვარ. ამიტომ ვერ ველაპარაკე, რა მოხდა და როგორ მოხდა. ალბათ გაირკვევა ყველაფერი.

– რამდენად ადეკვატური იყო სასჯელი? მის მიერ გაკეთებული განცხადებების გამო გაირიცხაო. ეს საკმარისი მიზეზი იყო უმრავლესობიდან გასარიცხად?

– არ მეშვებით. ალბათ იყო საკმარისი მიზეზი. ზოგადად ასეა, რომელი გუნდის წევრიც ხარ, მისი კრიტიკა ალბათ დახურულ ფორმატში უნდა ხდებოდეს და არა – საჯაროდ.

– გამოდის კულუარული ინფორმაციები, რომ შესაძლოა დაიშალოს უმრავლესობა და კვირიკა შვილის გუნდი ცალკე გავიდეს. ამაზე რას იტყვით?

– არა მგონია. მე მაგასაც ვერ ვიტყვი, თუ ვინ არის კვირიკაშვილის გუნდი.

– რას იტყვით იმ მინისტრებზე, რომლებსაც დღეს პროკურატურასთან აქვთ საქმე? ოპოზიცია ამ პროცესს აფასებს, როგორც პოლიტიკურ დევნას.

– დარწმუნებული ვარ, ეს პოლიტიკურ დევნასთან არანაირ კავშირში არ არის. რა არის პროკურატურის საქმიანობა? ეს არის გამოძიება, ხომ? თუ რაიმე ფაქტები არსებობს, პროკურატურა ვალდებულია, ჩაატაროს გამოძიება. აქ მინდა-არ მინდაზე არ არის საქმე.

ეტყობა, იყო რაღაცა ხელმოსაკიდი ფაქტი, ან იყო რაღაც ინფორმაცია მისული, რომლის გამოც დაიწყო ეს გამოძიება. ამაში რაიმე განსაკუთრებულს ვერ ვხედავ. პროკურატურა ყოველთვის იძიებდა სამინისტროებში არსებულ დარღვევებს. ესეც ამას უნდა დავუკავშიროთ და არა – პოლიტიკურ დევნას.

– ეკონომიკის სამინისტროდან პროკურატურამ სრული დოკუმენტაცია ამოიღო. კითხვის ნიშნები ჩნდება, რადგან პროკურატურა სწორედ მათი გადადგომის შემდეგ დაინტერესდა. თუ დარღვევები იყო, სად იყვნენ მანამდე?

– ალბათ ახლა მიიღეს ეს ინფორმაცია პროკურატურაში ან კონკრეტული ფაქტები ახლა გამოარკვიეს. რატომ ახლა და არა მაშინ, ამ კითხვებით კარგი იქნება, თუ თავად პროკურატურას მიმართავთ, რადგან მათ სრული ინფორმაცია ექნებათ, რატომ დაიწყეს ახლა ძიება. ჩემთვის ძნელია ამაზე ლაპარაკი.

– თუნდაც მღებრიშვილის გადადგომაც ბევრ კითხვის ნიშანს ტოვებს. ასე არ არის?

– კი, მაგაზეც არის ლაპარაკი, რა თქმა უნდა, მაგრამ მღებრიშვილმა თვითონ დაწერა განცხადება, პატარაძემაც თვითონ დაწერა.

– ამბობენ, რომ ეს იყო ახალი პრემიერ-მინისტრის სურვილი, საკუთარი განცხადების საფუძველზე წასულიყვნენ. ასეა?

– ვერ გეტყვით. არც ეგ არის გამორიცხული, რადგან, როდესაც ახალი მეთაური მოდის, მან, რა თქმა უნდა, უნდა მოიყვანოს ის ხალხი, რომელსაც თავიდან ბოლომდე ენდობა. ასე იყო ადრეც და ასე იქნება მომავალშიც. ეს ყველა ქვეყანაში ასეა.

– ყველა მინისტრი რომ არ შეცვალა?

– შესაძლებელია, მთელი გუნდი გაუშვას და შესაძლებელია, ნაწილი დატოვოს. ზოგიერთი მინისტრი კარგად ასრულებს თავის მოვალეობას და არ არის აუცილებლობა მისი შეცვლისა. ხომ იცით, როგორც ხდება, როდესაც კარგად არის აწყობილი საქმე და იქ შეცვლი მინისტრს, შესაძლოა, ამით გააფუჭო საქმე. ახალმა პრემიერმა გააკეთა ანალიზი, სად კარგად არის აწყობილი საქმე და სად ნაკლებად და შესაბამისი ცვლილებებიც გაატარა.

– დღემდე ისმის კითხვები კვირიკა შვილის წასვლასთან დაკავშირებით. რა შეეშალა კვირიკა შვილს ივანი შვილთან, რა ვერ აპატია მას ბიძინა ივანიშვილმა?

– არ ვიცი, შეეშალა რამე თუ არ შეეშალა. კვირიკაშვილმა თავადვე თქვა, ბოლო თვეებში აზრთა სხვადასხვაობა გვქონდაო. კონკრეტული მიზეზი არ ვიცი და ეს არც კვირიკაშვილს დაუკონკრეტებია.

– ჭიჭინაძე გარიცხეს, თუა მოსალოდნელი, რომ მისი ბედი სხვამაც გაიზიაროს? გედი ფოფხაძე ამჯერად

გადარჩა, მას ბოდიში მოახდევინესო.

– თქვენ ახლა ისეთ შეკითხვებს მაძლევთ, რომ გინდათ, რაღაცნაირად ამიყოლიოთ ამ საუბარში. როდესაც არსებობს გუნდი, თანაც ეს არის მმართველი გუნდი, ნამდვილად არ არის კარგი, თუ შიდა პრობლემები გარეთ გამოდის. კი ბატონო, უთანხმოება შესაძლოა ბევრ საკითხში იყოს. თუ იქნება ასეთი შეურაცხმყოფელი ქმედებები, აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, სხვაც გაირიცხოს.

– კრიტიკის გულისთვის?

– ეს არ ყოფილა ჯანსაღი კრიტიკა. შესაძლებელია, ბევრს არ მოსწონდეს ის მდგომარეობა, რაც დღეს ქვეყანაშია, მაგრამ ამის გამო ქილიკსა და ლანძღვას კი არ უნდა მოჰყვე, შენ თუ უკეთესი ხედვები გაქვს, თუ გამოსავალს ხედავ, მაშინ ადექი და შესთავაზე ხელისუფლებას, რომ მოდი ასე კი არა, აი, ასე გავაკეთოთ. კრიტიკაზე იოლი არაფერი არ არის. საქმის გაკეთებაა ძალიან ძნელი.

როდესაც ადამიანი რაღაცას აკრიტიკებ, მაშინ შენ უნდა იცოდე, იმის მაგივრად რა იქნებოდა სწორი. მე არ ვიცი, ბატონმა დავით ჭიჭინაძემ იცის თუ არა, რა იქნებოდა უფრო სწორი. ჭიჭინაძის საქციელს კრიტიკას ვერ დავარქმევ, ეს იყო შეურაცხმყოფელი განცხადებები კოლეგების მიმართ. თუ სხვაც მიბაძავს, არ არის გამორიცხული, მისი ბედი მათაც გაიზიარონ.

– შეძლებს ჭიჭინაძე ახალი ფრაქციის შექმნას პარლამენტში? ამაზეც საუბრობენ უკვე.

– არ ვიცი, ამას შეეცდება თუ არა დავით ჭიჭინაძე. პირველ ეტაპზე ის დამოუკიდებელი დეპუტატი იქნება. თუ თანამზრახველები გამოუჩნდება, შეეძლება, შექმნას ფრაქცია. ახალი ფრაქციის შექმნას 6 კაცი სჭირდება, თვითონ და კიდევ 5.

– მოიძებნება თქვენს გუნდში დანარჩენი 5?

– არ ვიცი, ნამდვილად ვერ გეტყვით.

– როდის დაასახელებს „ოცნება“ პრეზიდენტობის კანდიდატს?

– პრეზიდენტობის კანდიდატს დაასახელებს აგვისტოს შუა რიცხვებამდე.

პატრიარქი სამეგაში შეუძლოდ გახდა

პატრიარქი გუშინ, 22 ივლისს, სამების საკათედრო ტაძარში შეუძლოდ გახდა და წირვის აღვლენა ვერ შეძლო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პატრიარქის პირადმა ექიმმა ცისანა შარტავამ განუცხადა, უწმინდესი საპატრიარქოში იმყოფება და მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

– პატრიარქი დილიდანვე შეუძლოდ იყო და ვთხოვეთ ექიმებმა, არ წაბრძანებულიყო წირვაზე, მაგრამ წაბრძანდა. წნევის ცვალებადობა მოხდა, რადგან მანამდე ფასანაურში ბრძანდებოდა. ალბათ, ცოტა ვირუსული ინფექციაც იყო და ამის გამო მოხდა. ჩათვალეს, რომ სჯობდა წამობრძანებულიყო და ახლა საპატრიარქოშია. სიცოცხლისთვის საშიში და საგანგაშო არაფერია. არც ჰოსპიტალიზაციაა საჭირო. წნევა დაურეგულირდა, თუმცა მაინც ჩვენი დაკვირვების ქვეშ იქნება, – განმარტა ცისანა შარტავამ.

ინტერპრესნიუსი

„ევროპულმა საქართველომ“ პრეზიდენტობის კანდიდატად დავით ბაქრაძე დაასახელა

პარტია „ევროპულმა საქართველომ“ პრეზიდენტობის კანდიდატად დავით ბაქრაძე დაასახელა. დავით ბაქრაძის კანდიდატურის დასახელების ღონისძიება ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართა.

პარტიის გენერალურ მდივან გიგი უგულავას განცხადებით, ქვეყანას დღეს ყველაზე მეტად გამაერთიანებელი პრეზიდენტი სჭირდება, რომელიც იმ პრობლემებს მოაგვარებს, რომელიც საზოგადოებას აქვს და ხალხს ხვალინდელი დღის იმედს გაუჩენს. მისივე თქმით, მომავალმა პრეზიდენტმა „ქართული ოცნება“ უნდა აიძულოს, მოახდინოს გადასახადების შემცირება, პენსიის გაზრდა, მოქალაქეების დახმარება და ა.შ.

ინტერპრესნიუსი

საქართველოს ევროპარლამენტის მომხსენებელი ანდრის მამიკინსი ეწვევა

საქართველოს ორდღიანი ვიზიტით ევროპარლამენტის მომხსენებელი ანდრის მამიკინსი ეწვევა. მამიკინსი დღეს, 23 ივლისს, პარლამენტში პირველ შეხვედრას ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავასთან გამართავს.

ევროპარლამენტის მომხსენებელი პარლამენტში ასევე შეხვდება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს.

ანდრის მამიკინსი პარლამენტიდან პრეზიდენტის სასახლეში გაემგზავრება, სადაც პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს შეხვდება. დღესვე ის საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანს შეხვდება. წინასწარი ინფორმაციით, ასევე დაგეგმილია შეხვედრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან.

ანდრის მამიკინსი შეხვედრებს 24 ივლისს განაგრძობს. ევროპარლამენტის მომხსენებელი შეხვედრებს გამართავს საპარლამენტო ფრაქციებთან და იუსტიციის მინისტრთან. არსებული ინფორმაციით, ასევე დაგეგმილია მამიკინსის შეხვედრა პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან.

ინტერპრესნიუსი

შავი ზღვის რეგიონში დესტაბილიზაციაა მოსალოდნელი

კრემლი იმედოვნებს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ბაქოც შეეწინააღმდეგება

მარიამ მჭედლიშვილი

ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოს მთავარი ცხელი წერტილის სტატუსს ინარჩუნებს.

ამერიკული დაზვერვის მონაცემებით, სირიაში ვითარების სტაბილიზაციის ფონზე დესტაბილიზაციის კერა ჩნდება შავი ზღვის რეგიონში.

შავი ზღვის აუზის ქვეყნებსა და ამ ზღვას სულ უფრო მეტ ადგილს უთმობს ნატო.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს შესვლის პერსპექტივას ისევ დიდ საფრთხედ მიიჩნევს რუსეთი. ბოლო დროს ერთმანეთის მიყოლებით საქართველოს დაემუქრნენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და პირადად პუტინი. მათი მტკიცებით, საქართველოს გაწევრიანებას მოსკოვის მხრიდან შესაბამისი ნაბიჯები მოჰყვება.

კრემლი იმედოვნებს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ბაქოც შეეწინააღმდეგება.

რატომ უნდა დაუპირისპირდეს თვითკმარი ეკონომიკისა და დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის მქონე მეგობრულად განწყობილი მეზობელი საქართველოს მისწრაფებას ნატოსკენ?

რუსი ექსპერტების თქმით, საქართველოს ტერიტორია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს აზერბაიჯანული ენერგორესურსების მსოფლიო ბაზრებზე გასატანად. ნატოს წევრობა ნიშნავს, რომ ამ არხს დასავლეთი გააკონტროლებს. ეს, სავარაუდოდ, პრობლემა იქნება ბაქოსთვის. ამიტომ საქართველოს შესვლას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ისიც არ მოიწონებს.

ბოლო დროს საქართველოს ნატოში წევრობის დაჩქარების მხარდასაჭერად გაკეთდა განცხადებები აშშ-ის კონგრესში. თუმცა, ამერიკაშიც არიან ამის მოწინააღმდეგეები. მაგალითად, ექსპერტი დენიელ დევისი მიიჩნევს, რომ საქართველო და უკრაინა არიან არამდგრადი და არასტაბილური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, რომელთა მიღება ნატოში დააზიანებს ამერიკის ეროვნულ ინტერესებს და წარმოშობს უჩინარ რისკებს.

რუსი ექსპერტების შეფასებით, უკრაინა კრახის პირას იმყოფება და ძლივს ინარჩუნებს სახელმწიფო ინსტიტუტებს, ხოლო საქართველოში არ ცხრება პოლიტიკური დაძაბულობა.

რა იგულისხმება მუდმივ პოლიტიკურ დაძაბულობაში, ბუნდოვანია. საქართველოში ყველა აღიარებს, რომ პოლიტიკური პარტიები სულს ღაფავენ, პოლიტიკური ცხოვრება კი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს.

კრემლისთვის სასიხარულოა, რომ ნატოს ბოლო სამიტზე საქართველო და უკრაინა ერთმანეთის გვერდით დააყენეს. ეს იმას ნიშნავს, რომ კიევის გარშემო არსებულმა პრობლემებმა შეიძლება საქართველოც დააბრკოლოს. ერთ-ერთი მათგანია უნგრეთის კონფლიქტი უკრაინასთან და ბუდაპეშტის მუქარა, ნატოში დაბლოკოს უკრაინასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

„ახალი თაობა“ ვარაუდობდა, რომ მოსკოვი თბილისის მიმართ ფედერალიზაციის თემასაც წამოსწევდა.

კრემლის მომხრე მიმომხილველები დღეს აღნიშნავენ, რომ მოსკოვი თბილისს, მოგვიანებით კი კიევს სთავაზობდა ქვეყნების ფედერალიზაციას. საქართველოში ეს უზრუნველყოფდა ქართველების, აფხაზებისა და ოსების თანაცხოვრებასა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას. საქართველოს ლიდერებმა ამაზე უარი თქვეს. მათ არ ისურვეს აფხაზებისა და ოსების იდენტობის შენარჩუნება და ჩათვალეს, რომ ეს რუსეთის იმპერიალიზმის წისქვილზე წყლის დასხმაა.

მათი მტკიცებით, საქართველოც და უკრაინაც ქვეყნის შიგნით ნაციონალისტურ გზას ადგანან, მაგრამ თავი მოაქვთ, რომ დასავლურ დემოკრატიას აშენებენ.

ტრამპი-პუტინის შეხვედრის შემდეგ ანალიტიკოსებმა დაასკვნეს, რომ ამერიკამ ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი მთავარი მოთამაშის როლი რუსეთს დაუთმო. როგორც ჩანს, საქართველოში დასავლეთს პოზიციები არ დაუთმია. ამას რუსეთში ბოლო დროს ატეხილი აჟიოტაჟი ადასტურებს.

სუსმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატის დელეგაციას უმასპინძლა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ორგანიზებით, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ გაერო-ს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატის დელეგაციასთან სამდღიანი შეხვედრა გაიმართა. ღონისძიება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძემ და გაერო-ს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატის დანაყოფის უფროსმა აჰმედ სეიფ ელ-დავლამ გახსნეს.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატის დელეგაციის ვიზიტის მიზანი იყო საქართველოსა და გაერო-ს შორის დიალოგის გაღრმავება, ქვეყნის მიერ გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების შესრულების მონიტორინგი, ხელშეწყობა და ტერორიზმის გლობალურ საფრთხეებზე ინფორმაციის გაცვლა, ასევე, კომიტეტის ბოლო ვიზიტის შემდეგ ქვეყნის მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა და იმ სფეროების განსაზღვრა, რომელი მიმართულებითაც საქართველოს შეუძლია საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სხვა ქვეყნებისთვის.

ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციამ ყურადღება გაამახვილა გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების იმპლემენტაციაზე რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ: კონტრტერორისტული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა, სამართალდამცავი უწყებების საქმიანობის ეფექტურობა, უწყებათაშორისი კოორდინაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა, საზღვრის მართვა, რადიკალიზაციის პრევენცია და სხვა საკითხები.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის დელეგაციამ დადებითად შეაფასა საქართველო ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი უწყვეტი ძალისხმევისთვის და ამ სფეროში თანამშრომლობისა და დიალოგის შემდგომ გაძლიერების საქმეში მისი მზაობისათვის. აღინიშნა, რომ საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც 2015 წელს განახორციელა უცხოელი ტერორისტი მებრძოლების დაბრუნების კრიმინალიზაცია.

სტუმრად მყოფმა დელეგაციამ ხაზი გაუსვა არაერთ ეფექტურ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს უწყებათაშორის კოორდინაციას. ასევე, აღინიშნა დისკუსიებში მონაწილე უწყებების პროფესიონალიზმის მაღალი დონე.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ გაერო-ს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატის ექსპერტები, ასევე, წარმომადგენლები გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1540 (2004) რეზოლუციის შესაბამისად შექმნილი უშიშროების საბჭოს კომიტეტის ექსპერტთა ჯგუფიდან („1540 ექსპერტთა ჯგუფი“), კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციიდან (INTERPOL), საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციიდან (IMO), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციიდან (IOM) და გაერო-ს დანაშაულისა და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ოფისიდან (UNODC).

დისკუსიებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად, მონაწილეობდა ტერორიზმის პრევენციისა და მასთან ბრძოლის საკითხებში ჩართული საქართველოს ყველა შესაბამისი უწყების 80-მდე წარმომადგენელი როგორც აღმასრულებელი, ისე სასამართლო ხელისუფლების მხრიდან, მათ შორის, შინაგან საქმეთა, თავდაცვის სამინისტროების, ასევე, იუსტიციის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის, მთავარი პროკურატურის წარმომადგენლები და მოსამართლეები.

მსოფლიოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების რიცხვი მცირდება — რა ხდება საქართველოში?

მსოფლიოში უკიდურესად გაჭირვებული ადამიანების რიცხვი სულ უფრო მცირდება. გაეროს მონაცემებით, 2000 წელს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანები მოსახლეობის 27%-ს შეადგენდნენ, დღეის მდგომარეობით კი – 9%-ს.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, რა ხდება ამ მხრივ საქართველოში და ახერხებს თუ არა ქვეყანა მსოფლიოში სიღარიბის მაჩვენებლის კლების ტენდენციისთვის ფეხის აწყობას.

როგორც ეკონომიკის დოქტორი, სტატისტიკოსი სოსო არჩვაძე აცხადებს, ჩვენს შემთხვევაში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების დათვლის მეთოდიკა რამდენიმეჯერ შეიცვალა, ამიტომ 2000-2018 წლების სრული სურათის დანახვა ცოტა რთულია.

მისი თქმით, ამასთანავე, შეიცვალა საარსებო მინიმუმის ოდენობაც, რამაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების რიცხვიც შეამცირა, თუმცა ეს რეალობას სრულად არ ასახავს.

– საქართველოში 2006 წელს შეიცვალა დათვლის მეთოდიკა და სიღარიბის ზღვარი დაახლოებით 1/3-ით შემცირდა. პირობითად, თუ მანამდე საშუალო ოჯახისთვის ზღვრად ითვლებოდა 270 ლარი (2005 წლის გაზაფხულისთვის), შემდეგ ეს მაჩვენებელი დაიყვანეს 170-175 ლარამდე. შესაბამისად, ამ ზღვარს მიღმა აღმოჩენილი ადამიანების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. ახალი მეთოდიკით, 2014 წლისთვის სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების რაოდენობა მყისიერად 55%-დან 35%-მდე ჩამოვიდა. თუმცა, ამანაც არ უშველა და ისევ განაგრძო ზრდა. ერთ წელიწადში 35%-დან 39%-მდე ისევ გაიზარდა.

მოგვიანებით ეს მეთოდიკაც აღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს და გადავედით დათვლის კიდევ ახალ მოდელზე, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ მალავს იმ სიღარიბის რეალურ მასშტაბებს, რაც სინამდვილეში გვაქვს. მხედველობაში მაქვს შემოსავლებისა და ხარჯების მედიანური მაჩვენის 60-%-ს მიღმა მყოფი შიდამეურნეობობისა და მოსახლეობის რაოდენობა. ეს დასაანგარიშებლად იმდენად რთული არ არის, რამდენადაც საზოგადოების მიერ აღსაქმელად. ინდიკატორი უნდა იყოს რაც შეიძლება იოლად გასაგები. ამ მაჩვენებლის მიხედვით, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების რიცხვი 22-23%-ის ფარგლებშია. მეტ-ნაკლები სტაბილურობით, – აცხადებს სოსო არჩვაძე და სიღარიბეზე საუბრისას ხელისუფლების მიერ დაანონსებულ ინკლუზიური ეკონომიკის ფორმირებაზე ამახვილებს ყურადღებას.

მისი თქმით, აქ მთავარია, რამდენად მონაწილეობს მოსახლეობა ქვეყნის დოვლათის ფორმირებაში, რაც საქართველოს რეალობაში ნაკლებად გამოდის, შესაბამისად, ადამიანების შემოსავლებზეც არ ისახება.

– როდესაც ხელისუფლება აქცენტს აკეთებს ინკლუზიური ეკონომიკის ფორმირებაზე, უნდა ვიცოდეთ, რომ მისი მთავარი ფაქტორია, თუ რამდენად მონაწილეობს ქვეყნის მოსახლეობა ქვეყნის დოვლათის ფორმირებაში. საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი უცხოელი ინვესტორი შემოდის, მაგრამ ეს დოვლათი არის მათი კუთვნილება. კი ბატონო, ინდოელი საქართველოში მოსავალს რომ მოიყვანს, ქვეყნის შიდაპროდუქტში ითვლება, მაგრამ ის შემოსავალი იხარჯება არა საქართველოში, არამედ ინდოეთში. ამას პირობითად ვამბობ. არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნის ინვესტორი იქნება. შედეგად ვიღებთ იმას, რომ გვაქვს ეკონომიკური ზრდა, მაგრამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილზე ეს არ აისახება, რაც სერიოზული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემაა, – აცხადებს სოსო არჩვაძე.

რაც შეეხება მსოფლიოში უკიდურესად გაჭირვებული ადამიანების რიცხვის კლების ტენდენციას, სტატისტიკოსი ამბობს, რომ საქართველო მეტ-ნაკლებად ცდილობს ფეხის აწყობას, თუმცა ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ეკონომიკაში ამ მიზნით იგეგმება, ჩვენს რეალობაზე უნდა იყოს კარგად მორგებული.

– სიღარიბის მაჩვენებელი არ არის მხოლოდ ღირებულებითი კატეგორია, ეს არის მენტალური და შეფარდებითი მაჩვენებელიც. მართალია, ჩვენთანაც იზრდება კეთილდღეობა და დღეს ნებისმიერ ყველაზე ღარიბსაც კი, რომელსაც შეიძლება უნივერსიტეტში წასვლისა და იქ სადილის ფული არ ჰქონდეს, ხელში იმაზე კარგი მობილური უჭირავს, ვიდრე ეს ჰქონდათ 90-იანი წლების ჰოლივუდის ვარსკვლავებს, მაგრამ ჩვენ თანაზიარნი უნდა ვიყოთ არა გასული წლების, არამედ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში მცხოვრები ადამიანების ცხოვრების. შესაბამისად, ჩვენი ამოცანაა, არა მარტო შევაჩეროთ ჩამორჩენა, არამედ ნელ-ნელა დავძლიოთ ყველა პრობლემა, – აცხადებს სოსო არჩვაძე, რომელსაც შედარებისთვის გერმანიისა და საქართველოს მაგალითები მოჰყავს.

– შარშან ჩვენს ქვეყანას 2,5%-ით უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა ჰქონდა, ვიდრე გერმანიას. მაგრამ თუ ავიღებთ 1 სულ მოსახლეზე მთლიანი შიდაპროდუქტის სიდიდის მიხედვით მატების მაჩვენებელს, 2-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე საქართველოში. მარტივად რომ ვთქვათ, გერმანიის რიგით მოქალაქე გაცილებით უკეთესად ცხოვრობს და მისი შემოსავალი ბევრად აღემატება ქართველი რიგითი მოქალაქის შემოსავალს. ამიტომ, როდესაც ვამბობთ, რომ გვინდა მაღალი ეკონომიკური ზრდა, ინკლუზიური ეკონომიკა და ა.შ. ეს მხოლოდ ამბიციებსა და მოდას აყოლა კი არა, კარგად გათვლილი და გაანალიზებული უნდა იყოს, – აცხადებს სოსო არჩვაძე.

ბან

ქართული ღვინის ნაწილი რუსულ ბაზარზე ისევ დაიბლოკა

მორიგი თავდასხმა ქართულ პროდუქციაზე – ქართული ღვინის ნაწილი რუსულ ბაზარზე ისევ დაიბლოკა. როსპოტრებნადზორი ალკოჰოლურ სასმელებზე ხარისხის კონტროლის გამკაცრებას აანონსებს.

16 ათასი ლიტრი ქართული სასმელი კი რუსეთის ბაზარმა უკვე დაბლოკა. ვლადიმერ პუტინის გუშინდელი მუქარის შემდეგ ეს პირველი ნაბიჯია, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ გადადგა.

ღვინის ეროვნულ სააგენტოში მომხდარს ჯერ კიდევ სწავლობენ. ქართული ალკოჰოლური სასმელების მაკონტროლებელ ორგანოში აცხადებენ, რომ დაწუნებული 16 ათასი ლიტრი რუსეთში გატანილი მილიონობით ლიტრიდან ძალიან ცოტაა და მორიგი ემბარგოს წინა პერიოდის ნიშნებს ვერ ხედავენ.

ღვინის ექსპორტი კი გასულ წელთან შედარებით 36%-ით არის გაზრდილი. ასეთი ვაჭრობის ფონზე, მაღალ რისკებზე საუბრობენ ღვინის მწარმოებელი მსხვილი კომპანიები. მათი ნაწილი ღვინის სააგენტოსგან კონტროლის მექანიზმის გამკაცრებასაც მოითხოვს.

ოპოზიციური პარტიების შეფასებით, გაზრდილი ექსპორტის შედეგად, ასევე, იზრდება ამავე კაპიტალის დაკარგვის რისკიც, მიზეზი, პუტინის რუსეთის მხრიდან ისეთი სიურპრიზების ჩვევა, რომელიც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გააქტიურებას მოყვება ხოლმე.

ეკონომისტები ნაწილი ხელისუფლებას რუსეთიდან მომავალი საფრთხეების სწორად გაანალიზებას ურჩევენ.

უხარისხობის მიზეზით, რუსეთის ფედერაციამ საქართველოდან ალკოჰოლური სასმელების შეტანა 2006 წელს უკვე აკრძალა, მაშინ რუსეთის მთავარ სანიტარ გენადი ონიშჩენკოს გადაწყვეტილებამ ქართულ ეკონომიკას მძიმე დარტყმა მიაყენა.

ქართული ღვინისა და კონიაკის ექსპორტი რუსეთში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან რამდენიმე თვეში დაბრუნდა.

კომერსანტი

საწვავის ფასებთან დაკავშირებით ავტომფლობელები აქციას მართავენ

საწვავის ფასებთან დაკავშირებით „სოკარ ჯორჯიას“ სათავო ოფისთან აქცია მიმდინარეობს. აქციის ორგანიზატორების განცხადებით, სოკარი და სხვა მსხვილი კომპანიები, ფასებს ხელოვნურად არეგულირებენ, ხოლო საწვავის ფასი კოლოსალურია. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ ბაზარზე მოთამაშე მსხვილი კომპანიები მცირე მომწოდებლებს ხელოვნურ ბარიერებს უქმნიან, ხოლო სახელმწიფო ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებს, რაც საბოლოო ჯამში, მომხმარებლებს აზიანებს, ვინაიდან ფასები ყოველ კვარტალში იზრდება.

აქციის მონაწილეები ავტომობილებით დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში მსვლელობას გეგმავენ. ადგილზე მობილიზებულია საპატრულო პოლიცია.

კომერსანტი

ობგაიძე: „ვინც საკუთარ ავტომობილებს ვართ მიჯაჭვული, გადავსხდეთ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე“

თბილისის საკრებულოს წევრ შალვა ობგაიძის განცხადებით, დედაქალაქში ჰაერის დაბინძურებას ხელს არა მხოლოდ ყვითელი ავტობუსები, არამედ ავტომობილების სიმრავლე უწყობს.

მისი თქმით, დედაქალაქში თითქმის ყველა „მიჯაჭვულია“ საკუთარ ავტომობილს, ტექდათვალიერების ინიციატივა თვითნებურად კი თითქმის არავის უჩნდება.

შესაბამისად, ობგაიძე მოქალაქეებს მოუწოდებს, საკუთარი ავტომობილებიდან საზოგადოებრივ ტრანსპორტზე გადაინაცვლონ.

– ჩვენ დაგვხვდა ეს 500 ყბადაღებული ავტობუსი. 143 ახალი ავტობუსი შეძენილია, ამას წელს კიდევ 100 ავტობუსამდე დაემატება. აქვე დავძენ, რადგან ეს ყვითელი ავტობუსები არსებობენ, ეს მიყურისძირებულია. წელს 85 ავტობუსს ახალი ძრავი ჩაედგა, პირადად მე ვუმეგზურე ამ ავტობუსებს, რომლებმაც ტექნიკური დათვალიერების ტესტი გაიარეს.

ამ ეტაპზე მარტო ავტოპარკის განახლება არ არის, მთავარია, ჩვენისთანები, ვინც მიჯაჭვული ვართ ავტომობილებს, გადავსხდეთ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე. ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან 500 ავტობუსი ისეთ გავლენას ვერ მოახდენს, როგორც 500.000-მდე ავტომობილი.

შავი ბოლი არის ერთ-ერთი კომპონენტი და არა ერთადერთი, მთელი თაიგული არის მხუთავი აირი, გოგირდის შემცველობა საწვავში, გამონაბოლქვში, რომელიც ქალებს და ბავშვებს ემტერება. თუ საცობში იქნება ამდენი ავტომობილი, სულ რომ ევრო-6 იყოს, მაინც საშიშია, – განაცხადა შალვა ობგაიძემ „ტვ პირველის“ ეთერში.

კომერსანტი

დავით კაციტაძე: „საბანკო სექტორი პატარა გამოცდილების მქონე კომპანიებთან არ მეგობრობს“



როგორ უნდა დავაინტერესოთ ბავშვები კომპიუტერის ნაცვლად სათამაშოებით, როგორია საქართველოში სათამაშოების წარმოების ისტორია და რამდენად ჯანსაღი კონკურენციაა სათამაშოების ბაზარზე? – ამ და სხვა თემებზე რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ინტერვიუ კომერსანტთან ნიკა ქავთარაძესთან ერთად“ GeoToys-ის ჯგუფის დამფუძნებელმა დავით კაციტაძემ ისაუბრა.

1. 21-ე საუკუნეში ბავშვებს მოსწონთ ასეთი სათამაშოები?

დღეს ბავშვებს ხის სათამაშოებზე მეტად მოსწონთ გაჯეტი და კომპიუტერი. სერიოზული გამოწვევაა ჩვენთვის, რომ შევქმნათ ისეთი პროდუქცია, რითიც მათ დავაბრუნებთ ნამდვილ ბავშვობაში, როცა ბავშვები რეალურად სწავლობდნენ და ვითარდებოდნენ. თუ ბავშვი მოჰკიდებს ამ სათამაშოს ხელს, აუცილებლად მოეწონება. მაგრამ მანამდე საჭიროა, ყიდვის დროს მშობელმა გააკეთოს არჩევანი.

2. ქართული სათამაშოების წარმოების ისტორია

ძალიან პატარა ისტორია აქვს საქართველოში სათამაშოების წარმოებას. პრაქტიკულად, ახლა ვიწყებთ. კომუნისტების დროს იყო სათამაშოების ქარხანა, სადაც ერთი და იმავე შტამპით უშვებდნენ სათამაშოებს.

სათამაშოების თემატიკის შექმნასა და ამ დარგს განვითარების ისტორია არ აქვს. პირველად 2005 წელს გავაკეთე ჩემი ხელით მაგიდის სათამაშო ფეხბურთზე და საკმაო პოპულარობით სარგებლობდა.

3. კონკურენცია

ჯანსაღ კონკურენციაზე როცა ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მწარმოებლები უმეტესად ჩინურს პროდუქციას მიიჩნევენ მთავარ კონკურენტად. ჩვენ დაახლოებით ორი წელია ვიბრძვით, საზოგადოებამ გაიგოს, რომ ჩინური ნაწარმი ყველა კარგი არ არის.

ჩვენი სათამაშოები მხოლოდ გერმანული, ლიცენზირებული საღებავებით მზადდება. ნებისმიერი ხის სათამაშოს დამზადების წინ ხე არის გამომშრალი და მოხარშული, რათა მოხარშვის შედეგად ყველა ბაქტერია მოკვდეს. ბაზარზე ძირითადად, იყიდება სველი, გამოუშრობი ხის სათამაშოები, რომელთაც ბაქტები აქვს.

4. ბანკებთან პრობლემა

საბანკო-საფინანსო სექტორი ისეთ კომპანიებთან, როგორიც ჩვენ ვართ, არ მეგობრობს. მათ აქვთ პოლიტიკა, რომ მოდი შენ გქონდეს დიდი გამოცდილება და მერე ვილაპარაკოთ სესხზე, მე არ ვითხოვ, რომ ყველას მიეცეს სესხი. უბრალოდ, პირველი ნაბიჯი გადადგმული უნდა იყოს იმ კომპანიებზე, ვისაც ექსპორტზე გააქვს ან აქვთ პოტენციალი გაიტანონ პროდუქცია.

5. კომუნიკაცია უცხოელ პარტნიორებთან

ვიყავით სათამაშოების ყველაზე დიდ ბაზრობაზე ნიურნბერგში, გვქონდა კომუნიკაცია უცხოელ ინვესტორებთან, მათ დავუხატე კარგი ბიზნესგარემო, ნახეს ჩვენი გამოცდილება. ალბათ, კარგი პრეზენტირების უნარიც მაქვს, ჩამოუყალიბდათ სანდოობა და შევუქმენი იმის აურა, რომ ვიცი, რასაც ვაკეთებ. მეორე ეტაპი იყო, როცა უკვე საქართველოში ჩამოვიდნენ და ნახეს, რა დანადგარები გვაქვს.

პროფესიით საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი ვარ. ინვესტორებთან კომუნიკაცია არ მიჭირს, თუ შევუქმნით გარემოს, ისინი თვითონვე შემოვლენ.

ქართულ მაღაზიებში გვქონდა განთავსებული ჩვენი პროდუქცია, თუმცა რაღაც დროის შემდეგ ამოვიღეთ, ვინაიდან იყო შემთხვევები, როცა რეალიზაციაზე პროდუქცია შეგვქონდა მაღაზიებში და გადმორიცხვები ცოტა იყო. შევიმუშავეთ კონსიგნაციის პოლიტიკა, მოდი, წაიღეთ, და როცა გექნებათ ფული, მერე მოგვეცით, ნუ მოგვატყუებთ.

ქართულმა სათამაშოების მწარმოებელმა კომპანიებმა გავაკეთეთ მოძრაობა „უსაფრთხო სათამაშო“ და გავუწიეთ ადვოკატირება იმას, თუ როგორია უსაფრთხო და საფრთხის შემცველი სათამაშოები.

ჩვენთან ნაკლებად არის შემთხვევები, როცა მომხმარებელი კონკრეტული დიზაინის სათამაშოს უკვეთს. ძირითადად საწარმოო ციკლი გვაქვს, არის „კოდალა“, რომელიც სპეციალურ შეკვეთებს იღებს, თუმცა ჩვენი საწარმოო პროცესი სხვანაირად არის აწყობილი.

ტურისტები, რომელთაც ჰყავთ შვილები, ძირითადად ცდილობენ სათამაშო ტიპის სუვენირის წაღებას თავიანთი შვილებისთვის და ხშირია შემთხვევები, როცა ყიდულობენ ქართულ სათამაშოს.

კომერსანტი

საქართველოში 2 ათასი ელექტრომობილია დარეგისტრირებული



საქართველოში 2.000 ელექტრომობილი გადაადგილდება. ამდენივე ელექტრომობილი მოძრაობს თურქეთში, რომლის მოსახლეობაც 50 მილიონს აჭარბებს. ქვეყანაში ელექტრომობილები სულ უფრო პოპულარული ხდება.

m²-ის წარმომადგენლის დავით გორგილაძის ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით ელექტროავტომობილების დასამუხტი 52 აპარატი ფუნქციონირებს. წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი 100-მდე გაიზრდება.

პროექტის ღირებულება, რომელსაც კომპანია m² კომპანია ის ფესისთან ერთად ახორციელებს 300 ათასი ლარია. დავით გორგილაძის ინფორმაციით მომდინარე წელს ელექტროავტომობილების დასატენი აპარატურა თბილისი-ბათუმის მიმართულებითაც დამონტაჟდება და ავტომობილის მფლობელები აჭარაში ჩასვლას შეუფერხებლად შეძლებენ.

პროექტის მიზანი ქვეყანაში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

კომერსანტი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები რეგულაციების გადავადებას ითხოვენ



მიკროსაფინანსო ორგანიზაციები დაანონსებული რეგულაციების გადავადებას ითხოვენ. კომპანიებში აცხადებენ, რომ სხვა შემთხვევაში მიკროსაფინანსოების ნაწილი ბაზრიდან გავა, დარჩენილები კი გამსხვილდებიან. ინფორმაციას „ბიზნესპრესნიუსი“ ავრცელებს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 5 ივლისის ბრძანების თანახმად, მიკროსაფინანსოების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრამდე – არანაკლებ 500 ათასი ლარი, 2019 წლის 30 ივნისამდე კი არანაკლებ 1 მლნ ლარი უნდა იყოს. მთავრობის მიერ დაანონსებული რეგულაციებით კი სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა, 100%-დან 50%-მდე მცირდება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, ბოლო ორ წელიწადში რეგულატორის მხრიდან საფინანსო სექტორში ძალიან ბევრი რეგულაცია ამოქმედდა. ეს განსაკუთრებით მტკივნეულად არასაბანკო სექტორზე აისახა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 100%-იანი ჭერის 50-%-მდე შემცირება და საზედამხედველო კაპიტალის მილიონამდე გაზრდა არასაბანკო საფინანსო სექტორს ძალიან ცუდ ვითარებაში ჩააგდებს. საბოლოოდ კი ეს ყველაფერი მომხმარებლებზე აისახება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციის თავმჯდომარის, ბესიკ შენგელია განცხადებით, სექტორში დაგეგმილი რეგულაციები ბევრ საფრთხეს შეიცავს. მისი თქმით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომსახურების თვითღირებულება ბევრად უფრო ძვირია, ვიდრე ბანკების. საბანკო სექტორისგან განსხვავებით იაფი ფულის რესურსთან წვდომა მიკროსაფინანსოებს ნაკლებად აქვთ..

მისივე განმარტებით, ასოციაცია დაგეგმილი რეგულაციების გადახედვასა და 2019 წლის აპრილამდე გადავადებას ითხოვს.

კომერსანტი

იანვარ-ივნისში ჯარიმებიდან და საურავებიდან ბიუჯეტში 34,8 მლნ ლარზე მეტი შევიდა

2018 წლის 6 თვეში მხოლოდ ჯარიმებიდან და საურავებიდან ბიუჯეტში 34.817.800 ლარი შევიდა.

ეს 8 მილიონ ლარზე მეტია ბიუჯეტის 6 თვის შესრულების გეგმასთან შედარებით. შედეგად, ამ მუხლში ბიუჯეტი გადაჭარბებულად, 131,9%-ით შესრულდა.

ამასთან, იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა ჯამში 5,646,659.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის 6 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის 102.8%-ია. რაც შეეხება შემოსავლებს, 6 თვეში მან 5,019,831.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის გეგმის მიხედვით თითქმის 250 მლნ ლარით მეტია. ამ შემთხვევაში ბიუჯეტი 105,2%-ით შესრულდა.

ამასთან, სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტში 397,406.2 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადის სახით – 2,152,067.0 ათასი ლარი, ხოლო აქციზის გადასახადის სახით – 654,153.1 ათასი ლარი შევიდა.

ბპნ

ლორა სმიტი გაუპატიურებულია, 4 წლის ბავშვს კი მიბჯენით ესროლეს

ადვოკატმა გირგვლიანმა მალხაზ კობაურის დაცვაზე უარი თქვა

ხადას ხეობაში მომხდარი სასტიკი მკვლელობის შესახებ მედიისთვის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა გახდა ცნობილი.

ეს არის დოკუმენტი, რომელმაც დაადგინა, რომ ლორა სმიტთან მკვლელობაში ბრალდებულმა ლორა სმიტთან სექსუალური კავშირი დაამყარა.

დასკვნა სკანდალურია და მასში წერია, რომ 4 წლის კაელებ სმიტს თოფი მიბჯენით აქვს ნასროლი და თავის ქალა ფრაგმენტირებული იყო.

ექსპერტებს თავის ქალის ფრაგმენტების შესწავლა მოუწიათ. დასკვნაში წერია, რომ ბავშვის გენეტიკური მასალა სანადირო თოფზე იქნა აღმოჩენილი.

21 ივლისს ბრალდებულ მალხაზ კობაურის ადვოკატი ამბობდა, რომ ექსპერტიზის დასკვნას არ იცნობდა.

– ერთი საათის წინ გადმომეცა დამატებითი დოკუმენტები და აღკვეთის შემდგომ არის მოპოვებული. აქედან გამომდინარე, მე მათი გაცნობა ვერ მოვასწარი ჯერჯერობით. შესაბამისად გავეცნობი ამ მასალები და გავაკეთებ მერე კომენტარს, – განაცხადა ადვოკატმა გირგვლიანმა 21 ივლისს საღამოს.

მანვე ისიც თქვა, რომ მალხაზ კობაური მოკლულ ქალთან სექსუალურ კავშირს უარყოფდა.

– იგი გამორიცხავს ამგვარი ფაქტის დაშვებას. ის ამბობს, რომ მას ასეთი რამ არ განუხორციელებია, – აცხადებდა ადვოკატი დავით გირგვლიანი.

მომდევნო საათებში კი ადვოკატმა პოზიცია შეცვალა და განაცხადა, რომ მალხაზ კობაურს აღარ დაიცავდა.

მან შესაბამისი განცხადებაც გამოაქვეყნა:

„საზოგადოების წინაშე თავს ვალდებულად ვთვლი, გავაკეთო შემდეგი განცხადება.

ხადას ხეობაში მომხდარი ტრაგედიის საქმეზე მე ვიცავდი ბრალდებულ მალხაზ კობაურის ინტერესებს.

ამ საქმეში ჩავერთე იმიტომ, რომ დადგინა ჭეშმარიტება, ვინაიდან არასოდეს მოვრიდებივარ სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას, მუდამ ვიბრძოდი და კვლავაც გავაგრძელებ ბრძოლას სამართლიანობისათვის, თუმცა, რაც შეეხება ხადას ხეობაში მომხდარი ტრაგედიის საქმეს, მე, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი ადვოკატი, მივიჩნევ, რომ აღნიშნული საქმე უნდა გაგრძელდეს ჩემი მონაწილეობის გარეშე.

წარმატებას ვუსურვებ ჩემს კოლეგას ან/და კოლეგებს, ვინც გააგრძელებს მის დაცვას, ვინაიდან ყველა ადამიანს აქვს დაცვის უფლება, მიუხედავად ბრალად წარდგენილი დანაშაულის სიმძიმისა, თუმცა მე მივიჩნევ, რომ აღნიშნული პროცესი უნდა გაგრძელდეს ჩემ გარეშე!

ყველას მინდა დიდი მადლობა გადავუხადო როგორც თბილი სიტყვებისთვის, ასევე კრიტიკული ოპონირებისთვის.

მე აღარ ვაგრძელებ აღნიშნული საქმის წარმოებას, თუმცა ვრჩები ჩემი ჩემი პროფესიის და სიმართლის ერთგული!

სხვა კომენტარს აღნიშნულ საქმეზე აღარ გავაკეთებ!“

მინდია გოგოჭურის მეგობარი თორნიკე კაჭარავა დააკავეს

სამართალდამცველებმა თორნიკე კაჭარავა დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, ის ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე ბრალდებულის სახით არის დაკავებული.

კაჭარავა თბილისში, ახვლედიანის ქუჩაზე აიყვანეს.

„თბილისში, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე ბრალდებულის სახით დაკავებულია წარსულში არაერთგზის ნასამართლები, 1989 წელს დაბადებული თ.კ. გამოძიება დაიწყო სსკ-ის 236-ე მუხლით“, – განაცხადეს შსს-ს პრესსამსახურში.

თორნიკე კაჭარავა პრეზიდენტის სიძის მინდია გოგოჭურისა და ასევე მისი ქალიშვილის ანა მარგველაშვილის მეგობარია.

თორნიკე კაჭარავა ნარკოდანაშაულისთვის გასულ წელს დააკავეს და მოგვიანებით 15.000-ლარიანი გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

5 ივლისს პრეზიდენტ მარგველაშვილის მეუღლის, მაკა ჩიჩუას სიძე მინდია გოგოჭური დაჭრეს. მას ჩიქოვანისა და იოსელიანის კუთხეში გვიან ღამით ოთხჯერ ესროლეს.

დაზარალებულს თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ოპერაცია ჩაუტარდა და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მინდია გოგოჭური მაშო ჩიჩუას მეუღლეა. ის 2017 წლის იანვარში ასევე ფეხის არეში დაჭრეს. მაშინ ინციდენტი თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩაზე მოხდა.

თორნიკე კაჭარავას ადვოკატის თქმით, მისი კლიენტი არც ერთ ნაწილში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

ადვოკატი შოთა მანელიძე ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი დუმილის უფლებას იყენებს, შესაბამისად, მანელიძე დეტალებზე საუბარს მიზანშეწონილად არ მიიჩნევს. ადვოკატის განმარტებით, კაჭარავას ყველა კითხვაზე აქვს პასუხი.

– ბრალდების არც ერთ ნაწილში თორნიკე თავს დამნაშავედ არ ცნობს. ის კვლავ იყენებს დუმილის უფლებას, თუმცა, ობიექტურობის კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ თემის განვრცობა და გაშლა არ არის საჭირო. მას აქვს პასუხები, თუმცა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია ამ თემის გავრცობა, – აღნიშნა შოთა მანელიძემ.

რატომ დაემუქრა მინდია ლავასოღლი ეკა კვესიტაძეს

კანონიერ ქურდობაში ბრალდებულს 12 წელი მიესაჯა

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და კანონიერ ქურდობაში, ჯგუფურად გამოძალვის ორგანიზებასა და ძალადობის მუქარით ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლაში ბრალდებული მინდია ლავასოღლი (მინდია გორაძე) დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2231-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 25, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2013 წელს, ქურდულ სამყაროში დადგენილი წესებით, მინდია ლავასოღლი აღიარებული იქნა „კანონიერ ქურდად“, რის შემდეგ იგი ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად მართავდა და ორგანიზებას უწევდა ქურდული სამყაროს წევრთა გარკვეულ ჯგუფს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის მიზნით; მუქარით, დაშინებით და ქურდული გარჩევების გზით აიძულებდა მოქალაქეებს შეესრულებინათ მათთვის არასასურველი ქმედებები, ორგანიზებას უწევდა სხვადასხვა პირებისგან თანხების გამოძალვას, ე.წ. „ქურდული საერთოს“ შეკრებას და განაწილებას, ქურდული სამყაროსა და სხვა პირებისთვის სარგებლის მისაღებად წყვეტდა მეწარმე სუბიექტებსა და ფიზიკურ პირებს შორის წარმოშობილ დავებს.

გარდა ამისა, 2014-2015 წლებში მინდია ლავასოღლის კავშირი ჰქონდა საქართველოში მყოფ კრიმინალურ ავტორიტეტებთან, რომლებისგანაც პერიოდულად იღებდა ინფორმაციებს კრიმინალურ სამყაროში არსებული ვითარების შესახებ, აძლევდა მითითებებს ქურდული სამყაროსთვის ხელსაყრელი მდგომარეობის შესაქმნელად და სხვადასხვა პრივილეგიების მოპოვების მიზნით. ასევე, იღებდა გადაწყვეტილებებს შეგროვილი „ქურდული საერთოს“ შევსებისა და გადანაწილების საკითხებზე, არეგულირებდა ურთიერთობებს ქურდული სამყაროს წევრებს შორის.

2015 წლის 24 თებერვალს მინდია ლავასოღლი მობილური ტელეფონით დაუკავშირდა სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის გადაცემა „განსხვავებული აქცენტების“ ავტორსა და წამყვან ეკა კვესიტაძეს, გამოთქვა უკმაყოფილება 2015 წლის 14 თებერვალს სატელევიზიო ეთერში მის საქმიანობასთან დაკავშირებით გასული უარყოფითი სიუჟეტის (ინფორმაციის) გამო და დაემუქრა მას, რომ შემდგომში თავი შეეკავებინა ანალოგიური ინფორმაციის გავრცელებისგან.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მინდია ლავასოღლი (მინდია გორაძე) სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად საბოლოოდ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

დ.ღ.-ს პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით დაკავებული დ.ღ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახეზე იმსჯელა. სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და დ.ღ.-ს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

საუბარია 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლეზე, რომელიც ხორავაზე მოზარდების მკვლელობის საქმეში ფიგურირებს. მას სასამართლოსთვის ცრუ ჩვენების მიცემაში ედავებიან.

21 ივლისის სასამართლო პროცესზე დაცვის მხარე აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაოს შეფარდებას ითხოვდა, თუმცა სასამართლომ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ გაითვალისწინა.

ავარია იგოეთთან — დაიღუპა 2 ადამიანი

21 ივლისს, დილით, იგოეთთან ავარია მოხდა.

ერთმანეთს მიკროავტობუსი და ტრაილერი შეეჯახნენ.

მიკროავტობუსში მყოფი ქალი ადგილზე დაიღუპა, მძღოლი კი საავადმყოფოში მიყვანამდე, სიცოცხლისთვის შეუთავსებელი ტრავმებით, გზაში გარდაიცვალა.

შსს-ს ცნობით, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

საქმეზე დანიშნულია ექსპერტიზები და მიმდინარეობს გამოძიება.

დავით მჟავანაძე: „ეკა ნინიძის ძმა ფიზიკური ლიკვიდაციით მემუქრება“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ლიდერი, საკრებულოს დეპუტატი და ფრაქციის ხელმძღვანელი, დავით მჟავანაძე, პარტიის ერთ-ერთ ლიდერ ბესო ქათამაძესთან ერთად გურიის პოლიციის დეპარტამენტში გამოკითხვაზე დაიბარეს.

დავით მჟავანაძის განცხადებით, მას 21 ივლისს საზღვარგარეთიდან რამდენჯერმე ტელეფონით დაუკავშირდნენ და ფიზიკური ლიკვიდაციით დაემუქრნენ. დეპუტატი მუქარაში ის უშიშროების ყოფილი მინისტრის იგორ გიორგაძის დაცვის წევრს, რუსეთის სპეცსამსახურებთან დაახლოებულ პირს, ჯაბა ნინიძეს ადანაშაულებს.

აღნიშნული პიროვნება მოსკოვში მცხოვრები, ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით ძებნილ იგორ გიორგაძესთან დაახლოებული პირია და ის რამდენიმე წლის წინ იგორ გიორგაძეს პარტიას ხელმძღვანელობდა ოზურგეთში.

– დაანონსებული სასამართლო დავის დაწყებიდან ჩემი ლიკვიდაციის მუქარამდე. არც მეტი, არც ნაკლები, ეკა ნინიძის ძმა ფიზიკური ლიკვიდაციით მემუქრება და სატელეფონო საუბარში მიცხადებს, რომ ის ამისთვის საქართველოში სპეციალურად ჩამოვა. მისი გაღიზიანება ერთი თვის უკან ჩემს მიერ გაკეთებულმა კომენტარმა გამოიწვია, თუმცა აქ საქმე სხვა რამეშია რატომღაც ერთი თვის შემდეგ გაახსენდა ეკა ნინიძეს, რომ სასამართლოში უნდა მიჩივლოს მას შემდეგ რაც მისმა მუქარამ შედეგი ვერ გამოიღო, საქმეში იგორ გიორგაძის ახლობელი ძმა ჩართო, რომელსაც რატომღაც ერთი თვე დასჭირდა მუქარის შემცველი ზარის განსახორციელებლად.

უკვე დადასტურებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის სუსის მიერ ორგანიზებული და ხელშეწყობილი მოქმედება, რათა წინასაარჩევნოდ მოხდეს ჩემი განეიტრალება. არც ნინიძის საჩივრის და მით უმეტეს არც მისი ძმის მუქარის შემდეგ არ ვაპირებ გაჩუმებას. ვაპირებ ბრძოლის გაგრძელებას გაორმაგებული ძალებით ხოლი ძალოვანი უწყების წარმომადგენლებს მოვუწოდებ, დაუყოვნებლივ დაიწყონ ამ ფაქტის გამოძიება. ვაქვეყნებ იმ პირის ნომერს ვინც, მისი თქმით, ჩემს მოსაკლავად უახლოეს მომავალში საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს, ხოლო აუდიო ჩანაწერს გადავცემ ძალოვანი უწყების წარმომადგენლებს, – წერს მჟავანაძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

აღსანიშნავია, რომ იგორ გიორგაძესთან დაახლოებული, ოზურგეთში მცხოვრები ნინიძე, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ ცხოვრობს და ოპოზიციის ლიდერს ფიზიკური ლიკვიდაციით ემუქრება, ოზურგეთის ყოფილი მაღალჩინოსნის, ეკა ნინიძის ძმაა, თავად ეკა ნინიძე კი ადგილობრივი „ქართული ოცნების“ აქტივისტია.

ნიუპოსტი

შავ ზღვაზე უკრაინულ-ამერიკული სამხედრო სწავლებები დასრულდა

შავ ზღვაზე დასრულდა უკრაინულ-ამერიკული სამხედრო სწავლება სი-ბრიზ 2018.

მასში უკრაინელი და ამერიკელი სამხედროების გარდა მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის, რუმინეთის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმაც.

პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ სწავლებებს მაღალი შეფასება მისცა. მან განაცხადა, რომ უკრაინაში არმიის ფორმირების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს.

– ჩვენი ძლიერი ბრძოლისუნარიანი არმია საუკეთესო პასუხია ჰიბრიდული ომების მოყვარულთათვის, რომლებიც სხვისი მიწების დაპყრობას ესწრაფვიან, – თქვა პოროშენკომ.

ლავროვი მარია ბუტინას გათავისუფლებას მოითხოვს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი თავის ამერიკელ კოლეგა მაიკ პომპეოს დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები იყო.

ლავროვმა აშშ-ში დაკავებული რუსი მსტოვრის მარია ბუტინას გათავისუფლება მოითხოვა, ქალის მიმართ წაყენებულ ბრალდებას კი ცილისწამება უწოდა.

– ბუტინა არავითარი ჯაშუში არ ყოფილა! ასეთი პროვოკაციები რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობებს მხოლოდ ზიანს აყენებს! – თქვა ლავროვმა.

აშშ დონბასში რეფერენდუმის ჩატარებას მხარს არ უჭერს

ვლადიმერ პუტინის იდეამ დონბასში რეფერენდუმის ჩატარების შესახებ მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია.

რუსი ექსპერტი ლეონიდ რაძიხოვსკი მიიჩნევს, რომ ვაჭრობა დონბასის ბედთან დაკავშირებით უკვე დაიწყო.

– ნოვოროსის შექმნის პუტინისეული იდეა ჩაიშალა. რუსეთის პრეზიდენტი ცდილობს დონბასი უკან, უკრაინაში შეაგდოს, რასაკვირველია, მოსკოვისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში, – ამბობს რაძიხოვსკი.

ექსპერტის აზრით, რუსეთი ცდილობს, დონბასის იმ ნაწილზე, სადაც ე.წ. დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკის იურისდიქცია ვრცელდება, თავისი სამხედრო- პოლიტიკური პროტექტორატი შეინარჩუნოს. რეფერენდუმიც ისეთი შედეგებით დასრულდება, როგორც ეს პუტინს სურს, ანუ მოსახლეობა დონბასის უკრაინის შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით დაბრუნებას მხარს დაუჭერს.

ამრიგად, რეფერენდუმი წარმოადგენს დონბასში პუტინისეული „სამშვიდობო სქემის“ განხორციელებისა და მისთვის საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფის მცდელობას.

თეთრმა სახლმაც მომხდართან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა:

– აშშ დონბასში რეფერენდუმის ჩატარებას მხარს არ უჭერს, – ნათქვამია განცხადებაში.

უკრაინის პარლამენტის ვიცესპიკერმა ირინა გერაშჩენკომ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ უკრაინის მთავრობა დონბასში რეფერენდუმის ჩატარებას არ დაჰყაბულდება.

– მიმდინარეობს ომი! დონბასის ნაწილი კვლავაც ოკუპირებულია! ყოველდღე იხოცებიან ადამიანები! ისმის კითხვა, ასეთ პირობებში რომელ რეფერენდუმზეა ლაპარაკი! – ამბობს გერაშჩენკო.

უკრაინის ფედერალიზაციას უკრაინის მოსახლეობის მხოლოდ 3% უჭერს მხარს, დონბასის ავტონომიის წინააღმდეგია 66%. თეთრი სახლის განცხადების შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ვლადიმერ პუტინმა თავისი ე.წ. სამშვიდობო სქემის საერთაშორისო მხარდაჭერის მიღება ვერ შეძლო. პუტინს მხარი დაუჭირა უკრაინის პრორუსულმა ლობიმ და ზოგიერთმა ევროპელმა პოლიტიკოსმა, რომელთა რიცხვს იტალიის ვიცეპრემიერი სალვინიც განეკუთვნება.

– უკრაინული რევოლუცია გარეშე ძალების მიერ იყო ორგანიზებული! რაც შეეხება ყირიმს, ის ისტორიულად მუდამ რუსეთი იყო და მისი რუსეთის შემადგენლობაში შესვლაც აბსოლუტური კანონზომიერებაა! – ამბობს სალვინი.

თუმცა ასეთები უმცირესობას წარმოადგენენ. როგორც აშშ, ასევე ევროკავშირი უკრაინას მხარს უჭერენ. აშშ-მაც უკრაინას დამატებით 200 მილიონი დოლარი გამოუყო. თანხა თავდაცვისა და უსაფრთხოების განმტკიცებას მოხმარდება.

კუბამ კომუნიზმზე უარი თქვა



კუბის პარლამენტი ახალი კონსტიტუციის პროექტს განიხილავს. მასში ჩადებულია რამდენიმე მუხლი, რომლებმაც, შესაძლოა, ქვეყნის პოლიტიკური მოწყობა ძირეულად შეცვალოს.

ახალი კონსტიტუცია ითვალისწინებს მოქალაქეთა უფლებას კერძო საკუთრებაზე. ამას გარდა, ამოღებულია მუხლი კომუნიზმის მშენებლობის თაობაზე. ფიდელ კასტროს დროს კუბის კონსტიტუციაში ეწერა: ჩვენი მიზანი კომუნიზმის მშენებლობაა.

ახლა ამის ნაცვლად წერია, რომ მიზანი სოციალიზმის მშენებლობაა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ისრაელმა სირიიდან „თეთრი ჩაფხუტის“ მოხალისეების ევაკუაცია განახორციელა

ისრაელმა სირიიდან „თეთრი ჩაფხუტის“ მოხალისეების ევაკუაცია განახორციელა. „ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, ევაკუაცია შეეხო 800 ადამიანს, რომელთა შორის მოხალისეები და მათ ოჯახის წევრები არიან.

ევაკუირებული მოქალაქეები იორდანიიდან კანადაში, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში გაემგზავრებიან. ოფიციალური თელ ავივის ინფორმაციით, ევაკუაციის მიზეზი სირიის არმიის აქტიურობა გახდა.

კალეიდოსკოპი

ვოლიერიდან გამოქცეული იაგუარი ცხოველებს დაერია

ამერიკის ლუიზიანის შტატის ახალი ორლეანის ზოოპარკ ოდუბონის ცხრა ბინადარი ვოლიერიდან გამოქცეული იაგუარის მსხვერპლი გახდა.

მტაცებლის მეცხრე მსხვერპლი მელა რასტი გახდა, რომელიც რამდენიმე დღის წინ მიღებული ტრავმების შედეგად დაიღუპა.

განთავისუფლებულმა მტაცებელმა მოკლე დროში ოთხი ალპაკის, ერთი სირაქლემა ემუს და ერთი მელას მოკვლა მოასწრო. მოგვიანებით კიდევ ერთი ალპაკი და მელა დაიღუპნენ.

იაგუარი სწრაფად დაიჭირეს და ღამის სახლში მას შემდეგ მოათავსეს, როდესაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ვეტერინარებმა შეამოწმეს. ამ ინციდენტის შედეგად ადამიანებიდან არავინ დაშავებულა. თუ როგორ მოახერხა იაგუარმა ვოლიერიდან თავის დაღწევა, უცნობია. ამ მომენტისთვის მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ ამაში დამნაშავე ზედამხედველი არ ყოფილა.

პარკში ასევე აღნიშნეს, რომ დაღუპული ალპაკი ამ სახეობის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო ოდუბონის ზოოპარკში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბრიტანელები ნაპირზე გამორიყულმა უზარმაზარმა მედუზამ შეაშინა

უზარმაზარი მედუზა გამოირიყა დიდი ბრიტანეთის კორნუოლის საგრაფოს ქვიშიან სანაპიროზე.

როგორც აღნიშნულ პლაჟზე მყოფმა ჯულიან ოსბორნმა აღნიშნა, მედუზა თავისი ზომით ნაგვის ბაკის თავსახურს შეესაბამება და მან ადგილობრივი მცხოვრებლების ყურადღება მიიპყრო. ის ასევე ფოტოსესიების პოპულარულ ობიექტად იქცა.

– აქამდე მსგავსი არაფერი მინახავს. საშინელი ცხოველია, – აღნიშნა მან.

გავრცელებული ინფორმაციით, მედუზები საკმაოდ ხშირად ირიყებიან დიდი ბრიტანეთის სანაპიროებზე, თუმცა ამ მედუზამ ყურადღება თავისი ზომების გამო მიიპყრო. ჩვეულებრივ, ისინი გაცილებით პატარები არიან.

სულ მსოფლიოში ამ ცხოველის 200-ზე მეტი სახეობა არსებობს, თუმცა ბრიტანეთის სანაპიროებთან მხოლოდ ექვსი მათგანი ბინადრობს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225. ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

20 წლამდე კალათბურთელთა ნაკრებმა ვერ გაამართლა

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ტურნირის ფავორიტი უნდა ყოფილიყო და საქმე ისე წაიყვანა, რომ მე-13 ადგილისთვის ბრძოლა მოუწია.

მას შემდეგ რაც ჯგუფიდან ვერ გავიდა და მე-9 ადგილისთვის ბრძოლაში ჩაერთო, ჩვენმა ნაკრებმა საკვალიფიკაციო მატჩი უნგრეთთან წააგო – 54:65 და მე-13-16 ადგილებისთვის ბრძოლაში გადაინაცვლა.

უნგრეთთან მატჩში ჩვენებს ტრავმების გამო 2 წამყვანი მოთამაშე – სანდრო მამუკელაშვილი და ლადო ფურცხვანიძე აკლდათ. ასეთ ვითარებაში მეტი სათამაშო დრო დაეთმოთ გიორგი კორსანტიასა და ალექსანდრე ფევაძეს, რომლებსაც ურიგოდ არ უთამაშიათ, მაგრამ მოგებამდე ქართველები მაინც ვერ მივიდნენ. საქართველოს ნაკრებმა ყველა პერიოდი მცირედით, თუმცა მაინც წააგო და საბოლოოდ 11-ქულიანი მარცხი განიცადა.

ჩვენს გუნდში 15 ქულითა და 13 მოხსნით საუკეთესო იყო გიორგი კორსანტია. ნიკა დარბაიძემ 7 ქულა, 3 მოხსნა და ამდენივე ჩაჭრა მიითვალა, ხოლო ალექსანდრე ფევაძის ანგარიშზე 6 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა.

უნგრელებთან წაგების შემდეგ, ქართველებმა საკვალიფიკაციო მატჩში ალბანეთი დაამარცხეს. ჩერქეზიშვილის გუნდმა ბალკანელებს ძალიან იოლად მოუგო – 104:44. საქართველოს ნაკრებში ტრავმირებული ლადო ფურცხვანიძის გარდა ყველამ ითამაშა. სარგებლიანობის კოეფიციენტით საუკეთესო იყო გიორგი კორსანტია, რომელმაც 14 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება და 3 პასი მოაგროვა. ორმაგი დუბლი შეასრულეს დავით აფხაზავამ – 13 ქულა, 10 პასი – და სანდრო მამუკელაშვილმა – 14 ქულა, 10 მოხსნა.

ჭორპედო ისევ ძლიერდება

ქართული გუნდებიდან ევროთასებს ქუთაისის ტორპედო და საჩხერის ჩიხურა შემორჩა. ორივე გუნდი 26 ივლისს შინ დაუხვდება მეტოქეებს. ჩიხურა სლოვენიურ მარიბორს უმასპინძლებს, ხოლო ტორპედო – ფარერულ ვიკინგურს.

ჩიხურას შემადგენლობაში ცვლილებები არც იგეგმებოდა და გუნდი იმავე შემადგენლობით გავა მარიბორთან სათამაშოდ, როგორც ისრაელის ბეითართან, ტორპედოს შემადგენლობაში კი ცვლილებები იქნება.

კერძოდ, რიონისპირულმა გუნდმა 18 წლის სურინამელი ფორვარდი, გლეოფილიო ვლიტერი (ჰასელბაინკი) დაიმატა.

გუნდის ახალწვეული ევროპალიგის განაცხადში უკვე შეყვანილია და ფეხბურთელიც ვიკინგურთან მატჩისთვის ემზადება.

ვლიტერს თავისი ქვეყნის 15 და 16-წლამდელთა გუნდებში უთამაშია. საფრანგეთში გამართულ ტურნირში, სადაც ვლიტერი სურინამის 15-წლამდელთა გუნდში თამაშობდა, ის ტურნირის აღმოჩენად დაასახელეს. მოგვიანებით, 15 წლის ასაკში მას ქვეყნის მთავარ ნაკრებშიც უხმეს და გაიანას წინააღმდეგ ათამაშეს

სამაგიეროდ, გუნდიდან წავიდა 29 წლის ნახევარმცველი ბექა ტუღუში. მხარეებმა ხელშეკრულება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყვიტეს.

ბექა ტუღუში იმერული გუნდის ღირსებას 2016 წლიდან იცავდა, მანამდე კი რამდენიმე ქართულ კლუბში უთამაშია.

ვლიტერამდე ტორპედომ სლოვაკი ფეხბურთელი მილოშ ლაჩნი რომ დაიმატა, ვწერდით. 30 წლის ფეხბურთელი სლოვაკ მედიის წარმომადგენლებს უკვე ესაუბრა საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ.

მილოშ ლაჩნი:

– ტორპედოში“ გადასვლა მთავარ მწვრთნელ კახა ჩხეტიანთან საუბრის შემდეგ გადავწყვიტე, რომელიც, მანამდე ვლადიმირ ვაისს ესაუბრა. ვაისმა კარგად დამახასიათა და მიხარია, რომ ეს ტრანსფერი შედგა. დარწმუნებული ვარ, სწორი არჩევანი გავაკეთე. ტორპედო ქვეყნის ჩემპიონია და ევროტურნირებზე თამაშობს. ეს ჩემთვის გამოწვევაა. სამწუხაროდ, გუნდი ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდა, მაგრამ თამაშს ევროპალიგაზე ვაგრძელებთ. გული მწყდება, რომ გუნდს შერიფთან ვერ დავეხმარე: მაქსიმალურად ვეცადე, საბუთები სწრაფად მომეგვარებინა, თუმცა უეფამ განმეორებით მატჩში მონაწილეობის მიღებაზე უარი მითხრა.

ტორპედოში სლოვაკი მარეკ ჰლინკა დამხვდა. ის იქ 3 კვირაა და გუნდს უკვე კარგად იცნობს. ადაპტაციის გავლაში ისიც დამეხმარება. სამედიცინო შემოწმება წარმატებით გავიარე და კლუბთან ერთად ვარჯიში დავიწყე. ვესაუბრე ხელმძღვანელობას და მათ დიდი ამბიციები აქვთ. ქვეყნის ჩემპიონობის მერე, ტორპედოს წინსვლა და ახალ საფეხურზე ასვლა სურს, მე კი მინდა ამაში ჩემი წვლილი შევიტანო. იმედია, გამომივა.

წყალბურთელთა ნაკრებმა იტალიასთანაც წააგო

საქართველოს ვაუ წყალბურთელთა ნაკრებმა ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში მიმდინარე ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე მე-3 მატჩი ჩაატარა და აშკარა ფავორიტად შერაცხულ იტალიასთან 3:14 დამარცხდა.

რევაზ ჩომახიძის ნაკრები უშანსოდ იყო. ქართველებმა ოთხივე მეოთხედი პირწმინდად დათმეს. ჩვენებურთაგან დუბლი ზურაბ რურუამ შეასრულა, ერთხელ კი თავი გიორგი მაგრაქველიძემ გამოიჩინა.

ამგვარად, რევაზ ჩომახიძის მიერ გაწვრთნილმა ქართველმა წყალბურთელებმა ა ჯგუფში ბოლო, მე-4 პოზიცია დაიკავეს და ბრძოლას მე-13-16 ადგილებისთვის განაგრძობენ.

საქართველოს ნაკრებს მომდევნო შეხვედრა თურქეთის ეროვნული გუნდთან ელის, რომელმაც ც ჯგუფში ასევე სამივე თამაში წააგო.

სატრანსფერო ჭორები

მიმდინარე უქმეები სატრანსფერო კუთხით მაინცდამაინც აქტიური არ გამოდგა – პრესაში კვლავინდებურად იდენტური სტილის სიახლეები ჩნდება.

მაგალითად, დანიელე რუგანის ტურინის იუვენტუსიდან ლონდონის ჩელსის რიგებში გადაბარგება აუცილებლად მოხდება. საკითხავი რჩება, თუ როდის დადასტურდება ორივე კლუბის მხრიდან აღნიშნული ტრანსფერი.

როგორც კი ლონდონელები ახალგაზრდა მცველის ტრანსფერზე ყველაფერს შეათანხმებენ, სწორედ ამის შემდგომ დაიწყება ქმედითი ნაბიჯების გადადგა გონსალო იგუაინის შესაძენად.

თუმცა, არავინ ამბობს დადასტურებით, რომ არგენტინელი ტურინს უპირობოდ დატოვებს. 30 ივლისის შემდეგ სამხრეთამერიკელი ფორვარდი ბიანკონერის რიგებში დაბრუნდება და ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგება.

პარალელურად ვრცელდება ცნობები, რომ მისი ძმა უკვე ამზადებს ნიადაგს შესაძლო მოლაპარაკებებისთვის, რომელიც,წესითადა რიგით, ორმა კლუბმა უნდა დაიწყოს. საუბარი ეხება იმავე ჩელსისა და ასევე მილანს. დიახ, როსონერი ევროპა ლიგაზე დაბრუნდება, ახალი პრეზიდენტი ჰყავს და, შესაბამისად, ფინანსური რესურსიც აქვს მსგავსი ტრანსფერის განსახორციელებლად.

მირალემ პიანიჩი... ბოლო 2-3 დღეა, მისი გვარი აქტიურად ფიგურირებს პრესის ფურცლებზე. სიტი, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად იწევს მისკენ. პეპ გვარდიოლა დიდი თანხის გადახდაზეც არ ამბობს უარს. რაც შეეხება იუვეს, პიანიჩი მთავარი მწვრთნელის მასიმილიანო ალეგრისთვის ხელშეუხებელია, მაგრამ 100-მილიონიანი წინადადების შემთხვევაში ყველაფერი შესაძლებელია. მაგალითად, თუ ამ თანხის ინვესტირება პოლ პოგბაში ან რაბიოში მოხდება.

კალდარა არ იყიდება! დიახ, ზუსტად ასე დაასათაურეს ნომრები იტალიურმა გაზეთებმა. მატეას ტურინი შანსს აუცილებლად მისცემს და ვნახოთ, როგორ გამოიყენებს ნიჭიერი აპენინელი ამ შესაძლებლობას.

რეალში ისევ ვერ გარკვეულან... ტიბო კურტუა და ედენ აზარი კვლავაც ლონდონის ჩელსის ფეხბურთელები არიან... თუმცა, მათი ტრანსფერების დადასტურებას წამი-წამზე ელოდებიან. რეალი საკმაოდ მსუყე თანხას ჩადის, რაზეც უარის თქმა გაჭირდება.

შედეგები

21 ივლისი

ფეხბურთი

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-სტ.გალენი 1:2
ლუცერნი-ქსამაქსი 0:2

პოლონეთი. ექსტრაკლასა

სლააკი-კრაკოვია 3:1
ვისლა-არკა 0:0
ლეგია-ზაგლებიე 1:3

უკრაინა. სუპერთასი

შახტარი-დინამო 0:1

დანია. სუპერლიგა

ესბიერგი-ვენდსელი 2:3

შვედეთი. აღსვენსკა

იორებრო-მალმიო 1:2
ესტერსუნდი-ტრელებორგი 4:1
კალმარი-სუნდსვალდი 0:2

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

როვანიემი-სეინეოკი 1:0
ჰონკა-ტპს 2:0

კრიშტიანუ რონალდუ: „ვიმედოვნებ, იუვენტუსისთვის ბედნიერების მომტანი გავხდები“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბული. მოუთმენლად ველოდები იმ მომენტს, როცა მოედანზე გავალ. მოტივირებული და კონცენტრირებული ვარ ჩემს ახალ გამოწვევაზე. ყოველთვის ვამბობ, რომ მებრძოლი ფეხბურთელი ვარ. ჩვეულებრივ, თავდაუზოგავად ვცდილობ, ფორმა შევინარჩუნო. თქვენ კარგად მოგეხსენებათ ჩემი სტატისტიკის შესახებ. ამბიციური ვარ და მიყვარს ახალი გამოწვევები. თუმცა, არ მსურს მხოლოდ კომფორტის ზონაში დარჩენა. მანჩესტერისა და მადრიდის გამოცდილების შემდეგ, მსურს ისტორია ტურინშიც დავწერო.

– თქვენ ამბობთ, რომ გიყვართ გამოწვევები. ალეგრი ყოველთვის ამბობდა: იტალიური ფეხბურთის მთავარი სირთულე ტაქტიკაა. ზოგჯერ ყველაფერი მოულოდნელად ხდება. თქვენ ამიტომაც აირჩიეთ იუვენტუსი?

– ვიცი, რომ ეს რთული და ტაქტიკური ჩემპიონატია. თუმცა, მიყვარს ახალი გამოცდილების მიღება. ვიცი, რომ ყველაფერი რთულად იქნება, მაგრამ მთელი კარიერის განმავლობაში ვცდილობდი, რომ ახალი გამოწვევები და სირთულეები საკუთარ თავშივე დამეძლია. არ მიყვარს ჯდომა და წარმატების მიღება. მსურს, რომ ყველა ახალ წარმატებას ჩემით მივაღწიო. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ, რისი გაკეთებაც შემიძლია. საკუთარ თავში დარწმუნებული ნამდვილად ვარ.

– იუვენტუსის გულშემატკივრები ჩემპიონთა ლიგის ჰიმნს მღერიან. ეს მათი ოცნებაა, თქვენ კი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხართ იმისა, თუ რატომაც ვერ მოიგეს მათ გასულ წლებში ეს ტიტული. გულშემატკივრებს ჩემპიონთა ლიგის მოგების დიდი იმედი გაუჩნდათ. თქვენ რას იტყვით ამ ფაქტზე?

– დიახ, რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგა არის ტიტული, რომლის მოგებაც ნებისმიერ კლუბს სურს. თუმცა, ჩვენ მხოლოდ ამ ტიტულისთვის არ ვიბრძოლებთ. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიყოთ კონცენტრირებულნი სერია ა-ზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, კონკურენცია ძალიან დიდია და ჩემპიონთა ლიგის მოგება ძალიან რთული იქნება. იუვენტუსს აქამდე ეს არ გამოსდიოდა, ხშირად ის ფინალში გადიოდა, თუმცა ეს არაფრის გარანტიას არ იძლევა. ვიმედოვნებ, რომ ამ კლუბისთვის ბედნიერების მომტანი გავხდები.

– ბევრი გულშემატკივარი დარწმუნებულია, რომ თქვენი ოვაცია იუვენტუსთან მატჩში ერთ-ერთი მიზეზია, თუ რატომაც ხართ აქ. ასეა? რამდენჯერ გიფიქრიათ ტურინში გადასვლაზე?

– ეს მართლაც დაუჯერებელი მომენტი იყო ჩემთვის, რადგან ყოველთვის სასიამოვნოა დამატებითი მოტივაციის მიღება, რათა ყველაფერი ახლიდან, ახალ კლუბში დაიწყო. ამიტომაც, მე მადლობელი ვარ გულშემატკივრების, რომლებიც მხარს მიჭერენ და ჩემს გვერდით დგანან. ვიმედოვნებ, რომ ისინი მიიღებენ იმას, რასაც იმსახურებენ. მე კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი მათ, ვინც დილიდან აეროპორტში მოვიდა და ასე კარგად მიმიღო.

– ახლა 33 წლის ხართ. შეძლებთ კვლავ ოპტიმალურ ფორმაში ყოფნას?

– არ მსურს ამაზე ფიქრი. ფიზიკურად, მენტალურად და ემოციურად ყველაფერი წესრიგში მაქვს. ამიტომაც, ვამაყობ, რომ აქ ვარ. არ ვარ იმ კატეგორიის ფეხბურთელი, რომელიც 33 წლის ასაკში კარიერის დასრულებაზე ფიქრობს. მსურს დავამტკიცო, რომ მე სხვანაირი ვარ. ამიტომაც, ჩემთვის ძალიან ემოციურია ის ფაქტი, რომ ამ კლუბში მიხილავენ, როგორც 33 წლის ფეხბურთელს.

– მხოლოდ იუვენტუსმა შემოგთავაზათ კონტრაქტი?

– ამ ფაქტზე არ დავფიქრებულვარ, საერთოდაც, კი, მხოლოდ იუვენტუსი იყო.

– თქვენ თქვით, რომ ასაკი არც ისეთი მნიშვნელოვანია. 2022 წელს, როდესაც იუვენტუსთან კონტრაქტი დაგიმთავრდებათ, 37 წლის იქნებით. დაბრუნდებით სპორტინგში?

– სპორტინგი ყოველთვის ჩემს გულშია, თუმცა იუვენტუსში ახალი წარმატებების მიღწევა მსურს. როგორც უკვე მოგახსენეთ, მე რეალობით ვცხოვრობ, ასე რომ, წინასწარ არაფრის განსაზღვრა არ შეიძლება. ნებისმიერ შემთხვევაში, სპორტინგის გულშემატკივრების ხელახლა ხილვა ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა.

– ფიქრობთ, რომ იუვენტუსში შეგეძლებათ, კიდევ ერთი „ოქროს ბურთი“ მოიგოთ?

– თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, რატომაც არა? ვინ იცის, შესაძლოა, კვლავ მივიღო ეს ჯილდო.

– ჩვენ ვიაზრებთ, თუ რაოდენ ბევრი რამის მიცემა შეგიძლიათ იუვენტუსისთვის, თუმცა იუვენტუსი რას მოგცემთ თქვენ?

– იუვენტუსმა დიდებული შანსი მომცა, რისთვისაც მადლიერი ვარ. ეს წინგადადგმული ნაბიჯია. ვხედავ, რომ იუვენტუსი არის კლუბი, რომელსაც ძალიან ბევრი წარმატების მიღწევა შეუძლია. თასები, სერია ა, ჩემპიონთა ლიგის ფინალი... ვიამაყებდი, ამ ყველაფრის ნაწილი რომ ვყოფილიყავი, თუმცა წინ ახალი გვერდი და ცარიელი ფურცელია. ყველაფერი ჩვენს ხელშია და ისტორია უნდა დავწეროთ.

– თქვენთვის იტალიაში თამაში პირველი გამოცდილება იქნება, ანჩელოტი კი იქ დაბრუნდა. უკვე ეკონტაქტეთ მას?

– არა, ჩვენ არ გვისაუბრია. თუმცა, მე მომწონს მასთან მუშაობა. ერთად დიდი ხანია არ გვიმუშავია, როცა ვხვდებით, ბევრ რჩევას ვიღებ, ის ჩემი ცხოვრების ნაწილია. ჩემი კარიერის განმავლობაში ის ყოველთვის მხარს მიჭერდა, ასე რომ, მისი ნახვით ყოველთვის გახარებული ვარ.

– როგორია თქვენი მოლოდინი? თქვენი და მესის კონკურენცია ფეხბურთის ნაწილია, თუმცა რას ფიქრობთ იტალიური ფეხბურთის ვარსკვლავებთან: იკარდისთან, ჯეკოსთან და სხვა მოთამაშეებთან მეტოქეობაზე?

– ფეხბურთელებში კონკურენტებს არ ვხედავ. მე ასე არ ვცხოვრობ. მე მსურს გამარჯვება, ყოველი მატჩის მოგება, აი ეს არის ჩემი მიზანი და არა სხვა ფეხბურთელებთან მეტოქეობა. ყველა საუბრობს ჩემსა და მესის მეტოქეობაზე, თუმცა ყველას თავისი მატჩი აქვს. ყველაფერს გავიგებთ ბოლოს, თუ ვინ არის უფრო უკეთესი.

– თითქმის 10 წელი გაატარეთ მადრიდში. ახლა თქვენი ცხოვრება შეიცვალა. როგორ გრძნობთ თავს?

– ბრწყინვალედ. ყველაფერი რთული იქნება, რადგან ჩემპიონატი სირთულეებითაა აღსავსე. მიუხედავად ამისა, იუვე მზადაა, მე მზად ვარ, ასაკს არ აქვს მნიშვნელობა. მოუთმენლად ველი მომენტს, თუ როდის დაიწყება სეზონი და როდის მოვიგებ ახალ ტიტულებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ინდოელს ყელიდან თავისხელა სიმსივნე ამოაჭრეს

ინდოელმა ფერმერმა გადაწყვიტა, ამოეჭრა სიმსივნე, რომელიც მას ყელზე 20 წლის განმავლობაში ეზრდებოდა.



55 წლის მამაკაცი, სახელად სომაი, ფიქრობდა, რომ სიმსივნე მის სხეულზე, უბრალოდ, ნუშისებრი ჯირკვლის ანთება იყო. მან გადაწყვიტა, ექიმებისთვის მხოლოდ მას შემდეგ მიემართა, როდესაც წარმონაქმნმა მის ყელზე მისივე თავის ზომას მიაღწია.

ექიმების თქმით, ამოჭრილი სიმსივნის წონამ 1,4 კილოგრამი შეადგინა. ოპერაცია სამსაათნახევარს გაგრძელდა. საბედნიეროდ, სიმსივნე კეთილთვისებიანი გამოდგა.

ექიმმა, რომელმაც ოპერაცია გააკეთა, განაცხადა, რომ ის საკმაოდ რთული იყო. სიმსივნე პაციენტის საძილე არტერიებს აწვებოდა, ამიტომ მისთვის ოპერაციის გაკეთების გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ იქნა მიღებული.

ფერმერმა აღიარა, რომ დიდი ხნის განმავლობაში პირველად გათავისუფლდა თავის ტკივილის შეგრძნებისგან. ამ მომენტისთვის მამაკაცი ოპერაციის შემდგომ აღდგენით პროცესს გადის.

ქმარზე გამწარებულმა ქალმა მატარებელში თანამგზავრი დაკბინა

ჩინეთში მატარებლის მგზავრების ევაკუაცია მას შემდეგ განხორციელდა, რაც ქალმა თანამგზავრი მამაკაცი დაკბინა.

ინციდენტი ქალაქ ჩუნცინში მოხდა. მატარებლის ერთ-ერთმა მგზავრმა მოულოდნელად ყვირილი ატეხა, შემდეგ კი გვერდით მჯდომ 56 წლის მამაკაცს თავს დაესხა. ქალი მას ზევიდან მოაჯდა და კისერზე უკბინა. დასისხლიანებულმა მამაკაცმა მისგან თავის გათავისუფლება მოახერხა და გაიქცა. ამის შემდეგ ქალი იატაკზე დავარდა და სხეულზე ტანსაცმლის შემოხევა დაიწყო.

საქმეში პოლიციელები და რკინიგზის თანამშრომლები ჩაერივნენ. მათ მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ქალი კი დააკავეს. მოგვიანებით ქალაქის რკინიგზის კომპანიამ განცხადება გააკეთა, რომელშიც ნათქვამია, რომ ქალმა საკუთარ თავზე კონტროლი საკუთარ მეუღლესთან პრობლემების გამო დაკარგა. პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

შოტლანდიის მთებში უიშვიათესი ჯიშის კატის კნუტები აღმოაჩინეს

დიდ ბრიტანეთში ორი უიშვიათესი ჯიშის ტყის კატის კნუტები გადაარჩინეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ცხოველები შოტლანდიის მთებში ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია „გარეული კატების თავშესაფრის“ წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს. ორმა დაახლოებით ორი თვის ასაკის კნუტმა დედა დაკარგა და შიმშილობისა და გაუწყლოვნებისგან იტანჯებოდნენ. ცხოველები სარეაბილიტაციო ცენტრში გადაიყვანეს.

– მათ ტყეში დიდი თავშესაფრის ტერიტორიაზე გამოზრდიან. ადამიანებს მათთან მინიმალური კონტაქტი ექნებათ, სამაგიეროდ, კარგ ვეტერინარულ დახმარებას გაუწევენ. მათ ბუნებაში მას შემდეგ დავაბრუნებთ, რაც კარგად მოიზრდებიან და დამოუკიდებლად არსებობას შეძლებენ, – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

მამაკაცმა მილიონიანი ჯეკპოტი მას შემდეგ მოხსნა, რაც ქალმა მას რიგი დაუთმო

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა მამაკაცმა აარონ უოლშოუმ ლატარიაში მილიონიანი ჯეკპოტი იმის წყალობით მოხსნა, რომ მას ქალმა საკუთარი რიგი დაუთმო.

ინგლისის ჩრდილოეთ ნაწილში, უესტ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ ოსეტში, მამაკაცი მაღაზიაში გათამაშების დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე მივიდა. 32 წლის მამაკაცმა სალაროსთან მომხმარებელ ქალბატონთან ერთად მიირბინა. ქალმა შენიშნა, რომ უოლში ჩქარობდა და წინ გაუშვა, მან კი ლატარიის ბილეთი შეიძინა.

იმავე საღამოს მამაკაცმა თავის 23 წლის საცოლე კერი ჰოლთან ერთად საერთო გადანახული შემოსავალი დათვალა: საქორწინო მოგზაურობაზე დაახლოებით 50 ფუნტი სტერლინგი რჩებოდათ. მეორე დილით კი წყვილმა შეიტყო, რომ მათ ერთი მილიონი ფუნტი მოიგეს.

გახარებული უოლში დარწმუნებულია, რომ არა ქალის თავაზიანობა, რომელმაც ის ურიგოდ გაატარა, ის ბილეთის ყიდვას ვერ მოასწრებდა. წყვილი მოგებული თანხის „საოცნებო ქორწილზე“ დახარჯვას აპირებს. ასევე მამაკაცს სურს, იპოვოს ქალი, რომელმაც მაღაზიაში რიგი დაუთმო და მადლობა გადაუხადოს.

ჩინელი ქალი, რომელიც შვიდი წელი გასახდომ წამალს სვამდა, გასუქდა

ჩინელმა ქალმა 200 ათასი იუანი დახარჯა იმის მცდელობაში, რომ გამხდარიყო, მაგრამ ორჯერ მეტად გასუქდა.

ქალმა სიაოლის ფსევდონიმით პირველად გასახდომი წამლების მიღება 18 წლის ასაკში ცადა. მან ტელევიზორში წამლის რეკლამა ნახა, რომელიც ის-ის იყო პოპულარობას იხვეჭდა. მისი მიღების დაწყებისთვის გოგონას წონა 45 კილოგრამს შეადგენდა.

დასაწყისში წამალი მართლაც მოქმედებდა, მაგრამ, როგორც კი მათ მიღებას წყვეტდა, წონაში ისევ იმატებდა, შემდეგ კი ადრინდელზე მეტად სუქდებოდა.

სიაოლის ამან სხვა დანამატების მიღებისა და დიეტებისკენ უბიძგა, მაგრამ ყოველ ჯერზე, როგორც კი მათ მიღებას წყვეტდა, მაშინვე წონაში მატებას იწყებდა და შვიდი წლის შემდეგ მისმა წონამ 90 კილოგრამს მიაღწია. გარდა ამისა, წამლების უკონტროლოდ მიღების გამო ქალს ღვიძლზე პრობლემები დაეწყო.

ივლისის დასაწყისში მან კუჭის დაპატარავების ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა. ექიმებმა დაადასტურეს, რომ წონაში მკვეთრი მატების მიზეზი სწორედ გასახდომი წამლები გახდა. მათი თქმით, წამლები, რომლებსაც სიაოლი იღებდა, მადას აქვეითებდა და მომადუნებელ ეფექტს იძლეოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, დამღუპველად ზემოქმედებდა მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და კვებით ჩვევებზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ᲡᲘᲯᲜᲗᲕᲝᲰᲔᲚᲘ



1. ქალაქი რაჭაში; 2. ... მატიე; 3. ... ნიკიტინი (მოგზაური); 4. ჩანაფიქრი; 5. ომის უკუსიდიდე (ფიზიკა); 6. ალგორითმული ენა; 7. შუქფარი; 8. პარკოსანი მცენარე; 9. დაცლილი ვაზნა; 10. საპალტოე ქსოვილი; 11. ძაღლის ჯიში; 12. ლათინური ანბანის ასო; 13. მეორე ნოტი; 14. ...-მუსიკა; 15. აღმოსავლური ორთაბრძოლა; 16. შაქრის სუროგატი; 17. რისამე ჩასაწერი დავთარი; 18. ტაბლეტი; 19. რამის აღმნიშვნელი წინსართი; 20. სახელმწიფო აფრიკაში; 21. „... დაიდარდო!“; 22. წიწვოვანი ხე; 23. ინდოელი კინორეჟისორი; 24. შლამის თევზი; 25. სესხი; 26. ესპანელი აზნაური; 27. პატარა მზვერავი გემი; 28. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 29. ტურგენევის მოთხრობა; 30. მცირე არია; 31. სამოსელზე დაკერებული დანნული ზონარი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხელების პასუხები:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. გეთი; 2. ლეგია; 3. ეკერი; 4. შევრო; 5. კახიძე; 6. დეპოზიტი; 8. აბასთუმანი; 10. ვინჩესტერი; 11. სამშვილდე; 14. აფექტი; 15. სალათი; 16. რემბო.

თარაზულად: 1. გოგლიძე; 4. შიკოლონე; 7. თერგი; 9. კიევო; 12. ვეტელი; 13. ჰალვა; 14. ამპირი; 17. ემისია; 18. კლიპტომანია; 19. ვიმპელი; 20. კოპიჭი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ლაუდერი; 2. ბაზილიკა; 3. ამპლიტუდა; 4. სვანეთი; 5. პარლამენტი; 10. დიბალა; 11. მაყრიონი; 12. ბაიყუში; 13. კამბუზი; 16. ბატერფლაი; 17. ვოდევილი; 19. აშკენაზი; 21. ეკერი; 23. ამონი.

თარაზულად: 6. პალიასტომი; 7. ქვაწვია; 8. სესილი; 9. ფიტარეტი; 14. მაჭახელა; 15. ამირეჯიბი; 18. განჯა; 20. ნოკაუტი; 22. ქიაჩელი; 24. სკოპიე; 25. პლომბირი; 26. ვინილი.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲙᲐᲠᲚ-ᲰᲐᲘᲜᲪ ᲠᲣᲛᲔᲜᲘᲒᲔ: „ᲮᲐᲛᲔᲡᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ, ᲞᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲓᲘᲡ“

მიუნხენის ბაიერნის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგე პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა. შეგახსენებთ, დასავლური ბეჭვდითი მედია ხშირად საუბრობდა მადრიდის რეალის შემადგენლობაში ხამეს როდრიგესის დაბრუნებასთან დაკავშირებით. გარდა ზემოხსენებული საკითხისა, ბავარიელთა ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა ბენჟამინ პავარის შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებითაც.

კარლ-ჰაინც რუმენიგე:

– არ მინდა, კომენტარი გავაკეთო ჭორებზე, რომლებიც პრესაში ბევრჯერ გავრცელდა. მედიაში აქამდე მრავალჯერ თქმულა, თითქოს პავართან შეთანხმებული გვაქვს კონტრაქტი, რომლის თანახმადაც, მიუნხენურ გუნდს ფრანგი ფეხბურთელი 2019 წელს შემოუერთდება. ეს სიცრუეა, ჯერ არაფერი დამტკიცებულა. ხამესთან დაკავშირებით ჭორები კი ესპანეთიდან მოდის, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. როდრიგესს ბაიერნთან კონტრაქტი აქვს დადებული, რომლის თანახმადაც, ის გუნდში 2019 წლამდე უნდა დარჩეს. კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ კი, ვიმედოვნებ, იგი ჩვენთან თანამშრომლობას განაგრძობს.

შეგახსენებთ, ბენჟამინ პავარი შტუტგარტის რიგებში ასპარეზობს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მისი სატრანსფერო ღირებულება 35 მილიონ ევროს შეადგენს. რაც შეეხება კლუბთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, მოქმედი კონტრაქტის თანახმად, ბენჟამინმა თავის ამჟამინდელ გუნდში 2021 წლამდე უნდა ითამაშოს.

მოამზადა მისეილ ყორჟოლიანმა

ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ 23 ივლისისთვის

ᲕᲔᲠᲫᲘ – ერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან კონტაქტს, ასევე – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ᲙᲣᲠᲝ** – ნუ გარისკავთ. მეორე ნახევრისგან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობთ. შესაძლოა, ახალი ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდოს. **ᲢᲧᲣᲞᲔᲑᲘ** – შორს გამგზავრებისაგან თავი შეიკავეთ. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲑᲘ** – დაბნეულობის გამო სამუშაო რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. მთელი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ, რათა მიზანს მიაღწიოთ. **ᲚᲝᲛᲘ** – აგრესიული ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობაზე გაამახვილეთ. **ᲯᲐᲚᲜᲣᲚᲘ** – ახალი საქმის დასაწყებად არახელსაყრელი დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. განიტვირთეთ და დაისვენეთ. **ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. დღეს კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით. **ᲠᲘᲐᲜᲯᲐᲚᲘ** – კონფლიქტური დღეა. დაიმახსოვრეთ, დუმილი ოქროა. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – მშვენიერი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად. **ᲗᲔᲗᲠᲘ ᲠᲫᲐ** – გირჩევთ, ეს დღე სახლში გაატაროთ. ნებისმიერ სიახლეს მშვიდად შეხვდით. თავი მოიწესრიგეთ. **ᲛᲔᲠᲜᲧᲣᲚᲘ** – ზედმეტი მიმნდობლობა სასურველი არ არის. თავი შეიკავეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისაგან. **ᲗᲔᲯᲠᲖᲔᲑᲘ** – ვარსკვლავები გწყალობენ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ ფინანსური ოპერაციების კუთხით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

გიორგი კეკელიძე ავიაკატასტროფას გადაურჩა

მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე ავიაკატასტროფას გადაურჩა. ის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად ოდესაში ქართული წიგნის კუთხის გახსნაზე იმყოფებოდა, რომელიც მისი მონაწილეობით საზღვარგარეთ ორმოცდამეათე და კინაღამ უკანასკნელი აღმოჩნდა.

ინფორმაცია ამის შესახებ მან თავად გაავრცელა:

– ასე მოხდა, რომ ჩემი არცთუ მცირე „ზეციური“ გამოცდილების მარაგი მნიშვნელოვნად შეივსო, კინაღამ ჩამოვვარდი. ძლიერი ჭექა-ქუხილისა და გრიგალის აკომპანიმენტით, ასე 40 წუთი, თვითმფრინავი ცოფიან ძაღლად გადაიქცა, ზევით-ქვევით ეხეთქებოდა, კანკალებდა, გვერდზე ტრიალდებოდა და რა აღარ.

სხვა რომ არაფერი, იატაკზე დაყრილი საგნები და სტიუარდესების განწირული სახე მწუხარებით გვამცნობდა, რომ სიკვდილთან თუ ყურში ჩაჩურჩულების მანძილზე არა, ერთ ზრდილობიან შეძახილში მაინც ვიყავით.

როცა შინ დავბრუნდი და სამშვიდობოს წამოვწექი, დავაკვირდი: ამ დროს ფიქრი სწრაფია და გაუგებარი, რაღაც წმინდაზე და ძვირფასზე უწესრიგო რიგს ჰგავს, სადაც დიდი და პატარა ერთმანეთს ასწრებს და არავინ იცის, რა იქნება ბოლო ფიქრი, ის, რომ რაღაც უცნაურ, გაუგებარ სამყაროში გადადიხარ, შენი განვლილი ცხოვრების მთავარი ადამიანები და კინოკადრები თუ ის, რომ მაცივარზე იმ ქალაქიანი მაგნიტის ნიშნული ვერ გააკარი, საიდანაც მოდიხარ.

შეიძლება, შენი უსაყვარლესი გოგოს სახე იყოს უკანასკნელი არჩეული კადრი წარმოდგენაში, შეიძლება დედაშენის, რომელსაც ახლა სადღაც ახლოს, მიწაზე, ოზურგეთში სძინავს, შეიძლება მამაშენის, რომელსაც კიდევ უფრო ახლოს, ზეცაში ღვიძავს. შეიძლება გვერდზე მჯდომი შენი მეგობრისა და თანამშრომლის ლევან თაქთაქიშვილის უემოციო ღიმილი ჩაგრჩეს. ასეთ სიმშვიდეზე ექსტრემალურ დროს გურულად ვგიჟდები და გამოგიტყდებით, მინდება, დავუღრიალო. შეიძლება ბორტის ჟურნალიდან მომზირალი ვიღაც მოდელის გაყინული სიფათი აგეკვიატოს და ჩაგყვეს სიკვდილში, ამ დიდ და გაუაზრებელ ძილში სამუდამო სიზმრად. არავინ იცის.

ისე, რა უცნაურია, გადარჩები და ისეთი განცდა გაქვს ხოლმე, თითქოს სამუდამოდ გადარჩი. გეგონება, სიკვდილი აგერ ხვალამდე არ გადადე. მაგრამ მაინც მაგარია, სიცოცხლე ხან გადარჩენებისთვისაც ღირს.

ნანი ბრეგვაძე 82 წლის გახდა

მომღერალი ნანი ბრეგვაძე 82 წლის გახდა. იუბილე ხელოვანმა ოჯახის წევრებისა და უახლოესი მეგობრების წრეში აღნიშნა.

ნანი ბრეგვაძემ ჯერ კიდევ 80 წლის იუბილეზე განაცხადა, რომ სიმღერას თავს ანებებდა და სცენას ემშვიდობებოდა, თუმცა მისმა მრავალრიცხოვანმა მსმენელმა მომღერალს ამის საშუალება არ მისცა.

82 წლის მომღერალი დღესაც აქტიურად მართავს კონცერტებს და არც სიახლეებს უშინდება. ამ ასაკში ნანი ბრეგვაძემ პოდიუმზეც კი გაიარა და თბილისის მერსედეს ბენცის მოდის კვირეულზე დიზაინერ დათუნა სულიკაშვილის შემოდგომა-ზამთრის კოლექციის ჩვენება დახურა.

ნანი ბრეგვაძემ მთელი ცხოვრება სცენაზე გაატარა. მისი პროფესია აირჩიეს მისმა მემკვიდრეებმაც, შვილმა ეკა მამალაძემ და შვილიშვილმა ნატალია ქუთათელაძემ, თუმცა ნატალიამ საესტრადოს საოპერო ხელოვნება ამჯობინა და სასწავლებლად უცხოეთში გამგზავრა.

როგორც იუბილარი მომღერალი აცხადებს, მისთვის საჩუქარს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ყველაზე დიდი ჯილდო და საჩუქარი ნანი ბრეგვაძისთვის ის სიყვარულია, რომლითაც მისი ერთგული მსმენელი ამდენი ხანია ანებივრებს.

დემნა გვასალია: „ახალი კოლექცია ჩემი ცხოვრებაა“

მას შემდეგ, რაც დიზაინერმა დემნა გვასალიამ ახალი კოლექცია წარმოადგინა, ქართველ ჟურნალისტებთან ერთად, უცხოური პრესის გაოცებაც შეძლო.

ქართველ დიზაინერთან ინტერვიუებს აქტიურად წერენ უცხოური ტელევიზიები, მოდის კრიტიკოსები და ჟურნალისტები.

დემნა გვასალიამ ვოგთან ინტერვიუში განაცხადა, რომ თავისი ახალი კოლექცია საქართველოს მიუძღვნა:

– მე ეს კოლექცია საქართველოს მივუძღვენი, საქართველოს, სადაც მე და ჩემი ძმა, გურამი, ერთად 90-იანებში გავიზარდეთ და ომს, რომელიც მოხდა, როდესაც იქ ვცხოვრობდით. მინდოდა, ამ ჩვენებით ბრაზს, შიშს, ტკივილს წინ დავდგომოდი. აქამდე არ მინდოდა ამის გახსენება. 2 წელი თერაპევტთან დავდიოდი, რომ მზად ვყოფილიყავი.

არასდროს მიგრძნია თავი ასე შემოქმედებითად ბედნიერად. ასე რომ, თავი საკმარისად დაცულად ვიგრძენი ამის გარეთ გამოტანით. დღეს ყველა ომზე, დევნილებზე საუბრობს და მე ზუსტად ვიცი, ეს რა არის. უცნაურია, ეს ჩემი ცხოვრებაა და თან ყველაფერი ის არის, რასაც სიენენზეც ნახავთ.

წალკაში სამი მღვდელმთავრის სახელობის ეკლესიას უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერთაში, ძველ ოლიანქში მდებარე 1852 წელს აშენებულ სამი მღვდელმთავრის სახელობის ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორ ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა შვერილი აბსიდით. დგას ძველი ნაეკლესიარის ადგილზე. ნაგებია კარგად გათლილი ტუფის კვადრებითა და ნატეხი ქვით დუღაბზე. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. კარი შიგნიდანაც და გარედანაც არქიტრავულია. გრძივ კედლებზე სამ-სამი, დასავლეთის და აღმოსავლეთის კედლებში კი თითო თაღოვანი ფართო სარკმელია. აბსიდა მრგვალი ნახევარწრიული შვერილია. ეკლესია დასრულებულია სამხრეთის მხრიდან დაკბილული, ძველი ნაეკლესიარის უნდა იყოს, ხოლო დანარჩენი მხრიდან – მარტივი თაროსებრი ლავგარდნით. გადახურულია ლორფინით. დასავლეთ კიდეში ფანჩატურისებრი, ოთხ სვეტზე გახსნილი სამრეკლო აქვს დადგმული.

აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდია, რომელიც პასტოფორიუმებთან ერთად დარბაზისგან გამოყოფილია ხის მაღალი მოხატული კანკელით. საკურთხეველი ერთი საფეხურით ამაღლებულია დარბაზისგან. დარბაზი დანაწევრებულია ორი წყვილი მრგვალი სვეტითა და მათზე გადასული თაღებით. თითოეული ნავი დასრულებულია კამარით, რომელიც შეკიდულ თაღებს ეყრდნობა. იატაკი ბეტონის დეკორატიული ფილებითაა მოგებული. კამარის ნაწილი მოხატულია.



ტაძრის მორთულობას შეადგენს დასავლეთის კედელზე კარის რელიეფური მოჩარჩოება, ამავე კედელზე კარის ზემოთ, სამრეკლომდე ამავალი ლილვების წყვილი და სამხრეთ ფასადზე დაკბილული კარნიზი.

ტაძარს გარს უვლის ქვის დაბალი ყორე-გალავანი.

ტაძარი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თრიალეთსა და ჯავახეთში ბერძენი ხელოსნების მიერ აგებული ტაძრების იდენტურია. მეორდება როგორც კონსტრუქციული გადაწყვეტა, ისე – გაფორმება. განსხვავება აქ მხოლოდ ფრესკებია.

გელა კანდელაკი ლიტვის პრეზიდენტმა დააჯილდოვა

კინორეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი, ხელის ჩრდილების თეატრისა და საგანმანათლებლო ფილმების სტუდია „კვალი XXI“-ის დამფუძნებელი, გელა კანდელაკი, ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ ლიტვის წინაშე დამსახურებისთვის დააჯილდოვა. გელა კანდელაკის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ვილნიუსში პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა.

გელა კანდელაკს წლების წინ ლიტვაში წასვლასა და იქ პედაგოგიურ მოღვაწეობას, ლიტვური ჩრდილების თეატრის შექმნას სთავაზობდნენ, მაგრამ რეჟისორი საქართველოში დარჩა და ქართულ დასთან მუშაობა გააგრძელა.

ამის შემდეგ ლიტველი შეგირდები საქართველოში ჩამოვიდნენ. ისინი გელა კანდელაკთან 2 წელი ეუფლებოდნენ ჩრდილების ხელოვნებასა და მსახიობის ოსტატობას.

შარშან მთელ მსოფლიოში უნიკალური ქართული ხელის ჩრდილების თეატრი საერთაშორისო ბრენდი გახდა: შეიქმნა შვილობილი ბრენდი „ბუდრუგანა-ლიტვა“. მათ პირველი სპექტაკლი თბილისში ითამაშეს, ლიტვაში დაბრუნების შემდეგ კი თავიანთ ქვეყანაში განაგრძეს სპექტაკლების წარმატებით ჩვენება.

მამა სერაფიმე ბიტ ხარიბმა ქართული საგალობელი დაწერა

ქანდის ტაძრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა მამა სერაფიმემ ქართული საგალობელი დაწერა.

„შევიდე სახლსა შენსა“ – ასე ეწოდება საგალობელს. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მამა სერაფიმემ საგალობელი არა მშობლიურ არამეულ ენაზე, არამედ ქართულად დაწერა.

გალობა მამამ ანსამბლ „მუხამბაზთან“ ერთად შეასრულა და მასზე ულამაზესი ხედებით ვიდეორგოლიც გადაიღო. კლიპის რეჟისორი ზაზა ხალვაშია. ვიდეორგოლმა ინტერნეტში გავრცელებისთანავე დიდი მოწონება დაიმსახურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ფეისბუქმა რუსეთთან შესაძლო კავშირის გამო ანალიტიკურ ფირმასთან თანამშრომლობა გაწყვიტა

რუსეთთან შესაძლო ურთიერთობის გამო ფეისბუქმა ანალიტიკურ ფირმასთან კავშირი გათიშა. საუბარია ბოსტონში დაფუძნებულ ფირმაზე, რომელიც კლიენტებისთვის სოციალური ქსელის საჯარო მონაცემების ანალიზს აკეთებს.

არსებული ინფორმაციით, კომპანიას რუსულ არაკომერციულ ორგანიზაციასთან კონტრაქტი აქვს გაფორმებული, რომელსაც კრემლთან აქვს კავშირი. ახლა ფეისბუქის ადმინისტრაცია იძიებს, ხომ არ დაარღვია ფირმამ ინფორმაციის შეგროვებისა და გამოქვეყნების დროს სოციალური ქსელის წესდება. ფირმის არქივი ტრილიონზე მეტ საჯარო პოსტსა და 160 მილიონზე მეტ ფოტოს მოიცავს.

ნიუპოსტი

ცნობილი სპორტსმენი ავტომანქანის სარკეების გამო მოკლეს

25 წლის მოციგურავეს ჭრილობები დანით მიაყენეს

ყაზახი მოციგურავე დენის ტენი, რომელიც ხუთშაბათს ალმათიში მძიმედ დაჭრეს, საავადმყოფოში გარდაიცვალა. პოლიციის ინფორმაციით, მოციგურავეს თავს ის ადამიანები დაესხნენ, რომლებიც მისი ავტომობილიდან სარკეების მოპარვას ცდილობდნენ.

– დენის ტენმა შეამჩნია ადამიანები, რომლებიც მისი ავტომანქანიდან სარკეებს იპარავდნენ. დაპირისპირების შემდეგ ამ პირებმა დენის ტენს დანით ჭრილობები მიაყენეს, – განაცხადა ალმათის პოლიციამ.

სპორტსმენი ქალაქის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ყაზახეთის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით დენის ტენმა თითქმის სამი ლიტრი სისხლი დაკარგა.

25 წლის დენის ტენი 2013 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი იყო, ასევე სოჭის ოლიმპიადის პრიზიორი და ზამთრის VII აზიური თამაშების ჩემპიონი. ასევე ის იყო ყაზახეთის 5-გზის ჩემპიონი.

ნიუპოსტი

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

23 ივლისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4417
- ევრო — 2.8436
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1813
- 100 რუსული რუბლი — 3.8430

ამინდის პროგნოზი 23 ივლისისთვის

იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ამაზონის ჯუნგლებში მარტოხელა ველური ადამიანი აღმოაჩინეს

ამაზონის ჯუნგლებში პირველად მოახერხეს, ვიდეოზე გადაეღოთ ადგილობრივი აბორიგენი, რომელიც თავისი ტომის უკანასკნელი წარმომადგენელია.

ბრაზილიაში გადაღებულ კადრებში აღბეჭდილია დაახლოებით 50 წლის ნახევრად შიშველი მამაკაცი. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ის მარტოდმარტო 22 წელია ცხოვრობს. ამ დროის განმავლობაში მეცნიერებმა მისი ასე ახლოდან გადაღება პირველად მოახერხეს.

– ის კარგადაა, ნადირობს და პაპაია და სიმინდი მოჰყავს. მას შესანიშნავი ჯანმრთელობა და სულიერი მდგომარეობა აქვს მუდმივი ფიზიკური აქტივობიდან გამომდინარე, – აღნიშნა ინდიელთა ეროვნული ფონდის რეგიონულმა კოორდინატორმა ალტაირ ალგუერმა. მეცნიერის თქმით, მამაკაცი ცხოველებზე მშვილდ-ისრით ნადირობს, ასევე თხრის ორმო-ხაფანგებს, რომელთა ფსკერზე მახვილწვერიან შუბებს არჭობს.

მისი ტომის განადგურება 1970-80-იან წლებში მიმდინარეობდა ტყის მჭრელებისა და ფერმერების მიერ, რომლებიც ჯუნგლებში ტერიტორიებს იტაცებდნენ. 1995 წელს მათ ხუთი ადამიანისგან შემდგარი ტომის ბოლო წარმომადგენლები დახოცეს. მამაკაცმა სასწაულებრივად მოახერხა გადარჩენა. ის პირველად 1996 წელს აღმოაჩინეს და მას შემდეგ თვალს ადევნებენ. ინდიელთა ფონდის წარმომადგენლებს მასთან კონტაქტში შესვლა არ უცდიათ, თუმცა მის ტერიტორიას საგულდაგულოდ იცავენ. მამაკაცს რამდენიმეჯერ დაუტოვეს ტყეში მაჩეტე, ნაჯახი და თესლები, მაგრამ ის მათ ახლოსაც არ გაჰკარებია.

მამაკაცმა ძაღლს მეუღლის ჩანთიდან ფული მოპარვა ასწავლა

მამაკაცი საკუთარ ძაღლს აიძულებს, თავისი მეუღლის ჩანთიდან ფული მოიპაროს და ეს ყოველივე ვიდეოზე გადაიღო.

ვიდეორგოლზე ბორდერ-კოლის ჯიშის ძაღლის, სახელად მისტერ ბისკვიტის პატრონი მას ეუბნება, რომ ცოლის ჩანთიდან ფული მისთვის ძაღლების სათამაშოს საყიდლად მოიპაროს. შინაური ცხოველი წინა თათებით მაგიდას ეყრდნობა და ცხვირს ჩანთაში ყოფს.

– კარგი ბიჭი! იჩქარე, სანამ დედიკო შეგნიშნავს! – აჩქარებს მამაკაცი ძაღლს.

საბოლოოდ ძაღლმა ჩანთიდან 100-დოლარიანი კუპიურა ამოიღო და თავის პატრონს მიუტანა, ის კი იცინის და მისტერ ბისკვიტს აქებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

პოლიციელმა მათხოვარი დააკავა და უფროსს მიუყვანა განყოფილებაში:

– უფროსო, ეს რუსთაველზე იდგა და მათხოვრობდა.

– ორმოცდაათი ლარი ჯარიმა.

– კი მაგრამ, მხოლოდ ხუთი ლარი აქვს.

– მაშინ ადგილზე დააბრუნე, რომ დარჩენილი გამოიმუშაოს.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ მთელი დღე ხინკალს ვამზადებდი მეუღლისთვის.

– მერე?

– სამსახურიდან რომ მოვიდა, მოვუხარშე და მივართვი.

– მოეწონა?

– ასე მითხრა, ასეთები მაღაზიაში აღარ იყიდოო.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ცოლი გამშორდა და ერთი თეთრიც კი არ დამიტოვა.

– ჩემმაც საერთოდ უფულოდ დამტოვა, მაგრამ არსად წასულა, ის შობელძაღლი ისა...

●●●

მამაკაცი ნუდისტების პლაჟზე ირუჯება და თავის ღირსებაზე ქუდი დაიფარა. ამ დროს გვერდით ქალმა ჩაუარა, შეხედა და დამცინავად შენიშნა:

– თქვენ რომ ნამდვილი ჯენტლმენი იყოთ, ქუდს მაინც წამოსწევდით ქალბატონის წინაშე.

– თქვენ რომ ნამდვილი ქალბატონი იყოთ, ის თავად წამოიწეოდა!

●●●

ცოლი ქმარს საყვედურობს:

– ნამდვილი უიღბლო ხარ! უკვე 20 წელია, ერთად ვართ და ამ დროის განმავლობაში სახლში ერთი თეთრიც კი არ შემოგიტანია! მე კი გაჭმევ, გაცმევ, გირეცხავ და კიდევ შენთან ვწვები!

– და ამ ყველაფრის მერე კიდევ უიღბლოს მეძახი?

●●●

კაცი აფთიაქში კითხულობს:

– წნევის წამალი გაქვთ?

– რომელი, ასაწევი თუ დასაწევი?

– ასაწევი სახლში მყავს... დასაწევი მომეცით.

●●●

ერთი მაიმუნი მეორეს ეუბნება:

– კარგი იქნებოდა, ადამიანი რომ ვიყო.

– რად გინდა? ადამიანი რომ იქნები, გაიზრდები, დავაუკაცდები, ვინმე შეგიყვარდება, ცოლად მოიყვან, მერე შვილები გეყოლება, მერე ხელფასი არ გეყოფა, დაიწყებ მაიმუნობას და მაიმუნი კი ისედაც ხარ. ჯობია, საკუთარ ტყავში დაეტიო!

●●●

მიხო ბოსტანში პამიდორს კრეფს. ბევრი დაუგროვდა და ცოლს გასძახა:

– მარო, თასი წამაიღე, თასი.

– რომელი, მიხო?

– რომელი და ფიგურულ სრიალში რო აიღე...

●●●

გოგონას ეკითხებიან:

– შეყვარებული არ გყავს?

– არა.

– როგორ, ასეთ ლამაზსა და ჭკვიანს, უმშვენიერეს გოგონას შეყვარებული როგორ არ გყავს?

– მყავდა და ბედნიერებისგან მომიკვდა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გუდ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

კრიშტიანუ რონალდუ: „ვიმედოვნებ, იუვენტუსისთვის ბედნიერების მომტანი გავხდები“

მიმდინარე ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი კრიშტიანუ რონალდუს მადრიდის რეალიდან ტურინის იუვენტუსში გადასვლა იყო.

კრიშტიანუ ტურინში რამდენიმე დღის წინ ჩავიდა და პირველი პრესკონფერენცია გამართა თავის ახალ კლუბში, სადაც ნათლად ისაუბრა საკუთარ გადაწყვეტილებასა და იმ მოსალოდნელ განვითარებაზე, რომელიც მის ტურინში გადასვლას მოჰყვება.

– რატომ აირჩიეთ იუვენტუსი?

– იუვენტუსი ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია მსოფლიოში. ეს გადაწყვეტილება დიდი ფიქრის შემდეგ მივიღე. იუვე იტალიაში საუკეთესო კლუბია, ჰყავს ძლიერი მწვრთნელი და ხელმძღვანელობა.

– უკვე ბევრი ტიტული გაქვთ. როგორ იცხოვრებთ 10-15 წლის შემდეგ?

– ვცდილობ, მხოლოდ რეალობით ვიცხოვრო. ახლა ყველაფერი ნათელია: მე ფეხბურთით ვარ დაკავებული, საკმაოდ ახალგაზრდა ვარ და ძალიან მიყვარს გამოწვევები. სპორტინგი-მანჩესტერი-რეალი-იუვენტუსი – ეს ყველაფერი არა კარიერა, არამედ ოცნებაა. როდესაც ყველაფერი დავიწყე, ვერასდროს ვერ ვიფიქრებდი, თუ ყველაფერი ასე განვითარდებოდა და ამდენ ინდივიდუალურ თუ საკლუბო ტიტულს მოვიგებდი. გამოწვევები ჩემი ცხოვრების ნაწილია.

– თითქოს სამწუხარო სანახავია, როგორ ტოვებთ რეალს. ასე ფიქრობენ პორტუგალიელებიც. დარჩებით ნაკრებში?

– სიმართლე გითხრათ, მოწყენილი არ ვარ. მე ტურინში ვარ, რადგან ეს ჩემი ახალი გამოწვევაა. ეს დიდი კლუბია. ყველანაირი პატივისცემის გათვალისწინებით, ჩემი ასაკის ფეხბურთელები კარიერის გასაგრძელებლად ყატარსა და ჩინეთში მიდიან. მე კარიერის ამ მომენტში ბედნიერი ვარ ასეთ კლუბში გადასვლით. იუვენტუსის მადლობელი ვარ, რადგან ასეთი შანსი მომცა. ნაკრები? რა თქმა უნდა, გავაგრძელებ ჩემი ქვეყნისთვის მუშაობას. მე არასდროს შევაქცევ ზურგს. თუ შემეძლება კიდევ თამაში, მე ამას აუცილებლად გავაკეთებ.

– იუვენტუსის მილიონობით ფანი დღეს ძალიან ბედნიერია, თუმცა, რეალის ფანებმა მოიწყინეს. რას ეტყოდით მათ?

– მე უკვე ვთქვი, რომ რეალში გატარებული 9 წელი დაუჯერებელი ისტორიაა. თუმცა, ახლა ჩემს ცხოვრებაში ახალი ნაბიჯი უნდა გადამედგა. მსურს აბსოლუტურად ყველა გულშემატკივარს დიდი მადლობა გადავუხადო. თუმცა, ახლა ცხოვრების შემდეგ ნაბიჯზე უნდა ვიყო კონცენტრირე-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ჯოსვოხდი



თარაზულად: 1. დახურული ოთხთვალა ეტლი; 4. ხის ქერქქვეშა მკვრივი ნაწილი; 7. დიდი ხმაური; 9. კამეჩის ხმიანობა; 11. კურკოვანი ხილი; 12. სუნთქვისა და წვისათვის აუცილებელი ქიმიური ელემენტი; 13. ჩქარი წვიმა; 17. ლომების ოჯახი; 18. მირტყმული ადგილი შუბლზე; 19. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო; 20. გეომეტრიული სხეული.

შვეულად: 1. სინემა; 2. საპალტოე ქსოვილი; 3. რკინიგზის მუშა; 5. მინანქარი; 6. მჭედელი; 8. ყუთი ეკრანით; 10. ლიტერატურასა და ხელოვნებაში სანიმუშო ნაწარმოები; 12. პერიოდული გამოცემა წიგნის სახით; 14. ცირკის მოედანი; 15. რისამე ზღვრული ნორმა; 16. წიწვოვანი ტყის ზოლი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ